პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეთოთხმეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის, ტფ. კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: პას. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—53, მთ. კანტორის—3—81

პარასკევი,
2
თებერვალი
1934 წ.
№ 28 (3884)

ყრილობის დღიური

მოსკოვი, 1 თებერვალი. (ტელეგრაფით რადიო-ტელეფონით). ყრილობის დილის სხდომა 1-ლ თებერვალს დაიწყო საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენებით. თავმჯდომარე ამხ. **შკირიატოვი** სიტყვას აძლევს ცენტრ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. **ი. ე. რუძუტაკს**, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

ყრილობის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს ამხ. **შკირიატოვი**. ცენტრ. საკ. კომისიის საანგარიშო მოხსენების გაგრძელებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. **ი. ე. რუძუტაკს**. ამხ. რუძუტაკი, ამთავრებს რა მოხსენებას თავის ტრანსპორტის შესახებ, ამბობს, რომ ჩვენს ტრანსპორტს აქვს ყველა აუცილებელი პირობები იმისათვის, რომ მან იმუშაოს ისე, როგორც ამას მოითხოვს ცენტრალური კომიტეტი. შემდეგ ამხ. რუძუტაკი გადადის თავის მოხსენების შემდეგ ნაწილზე—პარტიის წმენდაზე, რომელსაც ყრილობა, განსაკუთრებული ყურადღებით ისმენს. მოხსენების დასასრულს ამხ. რუძუტაკი ასაბუთებს ც. საკ. კომისია-მუშგლეხინის რეორგანიზაციის აუცილებლობას პარტიულ და საბჭოთა კონტროლის კომისიად.

ამხ. რუძუტაკის მოხსენების ირგვლივ კამათი გახსნა ამხ. **მ. ი. [illegible]**ვას სიტყვით. შემდეგ გამოვიდნენ ამხ. **ბანჩურინი** (თათართა რესპ.), ამხ. **ემ. იაროსლავსკი** და ამხ. **სუხომლინი**. ამხ სუხომლინის გამოსვლის შემდეგ [illegible] ამხ. რუძუტაკის მოხსენების ირგვლივ ამხ. **პეტერსი**. მოსკოვის, ლენინგრადის და უკრაინის დელეგაციების სახელით წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას შემდეგი რეზოლუცია:

მოისმინა რა ამხ რუძუტაკის საანგარიშო მოხსენება, საკ. კ.პ (ბ) მე-17 ყრილობა მთლიანად იწონებს ც. საკ. კომისია-მუშგლეხინის მუშაობას. რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

საკავშირო კ. პ. (ბ) XVII ყრილობა

კამათი ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენების გამო

საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის მუშაობის შესახებ

ამხ. ლ. ბერიას სიტყვა

ყრილობის 28 იანვრის საღამოს სხდომაზე

ამხანაგებო, თავის მოხსენებაში ამხ. სტალინმა შეაჯამა საბჭოების ქვეყნის გიგანტური ზრდის შედეგები და უგენიალურესი სიცხადით დასახა უკლასო საზოგადოებისაკენ ჩვენი წინსვლის გზები. საბჭოების ქვეყნის ზრდა მიღწეულია ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მიერ ამხ. სტალინის მეთაურობით ლენინური ხაზის სწორად და განუხრელად გატარების შედეგად.

პარტიამ გაანადგურა ყველა ჯურის ოპორტუნისტები და იგი, როგორც არასოდეს, მჭიდროდ დარაზმულია თავისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის და საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის გარშემო.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, მთელ პარტიასთან ერთად, მე-17 ყრილობაზე უდიდესი მიღწევებით წარსდგენ. ამიერ-კავკასიის ფედერაცია, სამი რესპუბლიკის — სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს ფედერაცია — განმტკიცდა სამეურნეო და პოლიტიკური მხრივ. ამიერ-კავკასია სწრაფი ტემპებით მიდის ინდუსტრიალიზაციის გზით. გიგანტურად გაიზარდა ნავთის და მარგანეცის მრეწველობა. შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები — ქიმიური, საფეიქრო, გემოკვების. ფართოდ ვითარდება სამთამადნო მრეწველობა — სპილენძი, ქვანახშირი, ბარიტი, გუმბრინი. შექმნილია მძლავრი ენერგეტული ბაზა, აგებული და უკვე ათვისებულია დიდი ჰიდროსადგურები: **რიონჰესი, ძორაჰესი** და სხვ.

განმტკიცდა სოფლის პოლიტიკურ - სამეურნეო მდგომარეობა. 1930-31 წლებში **ჯერ კიდევ** ისეთი მდგომარეობა იყო, როცა ამიერკავკასიის სოფელში მრავალი კოლმეურნეობა იშლებოდა. კულაკები და განადგურებული ანტისაბჭოთა პარტიების — დაშნაკების, მუსავატისტების, ქართველი მენშევიკების — ნაშთები ცდილობდნენ გამოეყენებინათ თავისი კონტრრევოლუციური მუშაობის გასაცხოველებლად ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მიერ გლეხობის საკითხში ჩადენილი შეცდომები მხოლოდ პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ჩარევის და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების შემდეგ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები გადაჭრით შეუდგნენ ამ მეტად უხეში პოლიტიკური შეცდომების გამოსწორებას.

ახლა, ამხანაგებო, ამიერ - კავკასიის სოფლის მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. შესრულებულია უდიდესი მუშაობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში, გაიზარდა სოფლის მეურნეობის მექანიკური ბაზა. გადამწყვეტი ლახვარი ჩაეცა კულაკურ ანტი საბჭოთა ელემენტებს. ფართოდ ვითარდება და ვრცელდება სპეციალური და ტექნიკური კულტურები: ბამბა, ჩაი, ვენახი, თამბაქო, ციტრუსები და სხვ. კოლმეურნეობანი იზრდებიან და ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური მხრივ მტკიცდებიან. კოლმეურნეობანი ასობით გადაიქცნენ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო კოლმეურნეები ათასობით და ათი ათასობით — შეძლებულებად. კოლმეურნეები და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეები უკვე უკეთესად მუშაობენ. კოლმეურნეობებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა

ამხანაგებო, ამიერ - კავკასიის სოფლის მტკიცე მდგომარეობას მოწმობს ის, რომ ამიერ-კავკასიამ მთელი წლების განმავლობაში პირველად 1933 წელს შეასრულა მთლიანად და გადაჭარბებით სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა ყველა ძირითადი მაჩვენებელი.

1933 წელს მოკრეფილ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარდა 148.000 ტონა ბამბა ანუ გეგმის 130 პროც., 3.165.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ანუ გეგმის 105 პროც. თამბაქოს გეგმა გადაჭარბებით სრულდება. უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასია იძლევა საუკეთესო თამბაქოს მთელ საბჭოთა კავშირში. მარტო ერთი აფხაზეთი იძლევა საბჭოთა კავშირის თამბაქოს მთელი ექსპორტის 52 პროც. მოკრეფილია 83 მილიონზე მეტი ცალი მანდარინი ანუ 111 პროც. დამზადებულია 75 ათასი ტონა ყურძენი და ღვინო ანუ 105 პროც. დამზადებულია 106 პროც. ხილი, 109 პროც. რძის პროდუქტები და სხვა. ვადამდე შესრულდა პურის ჩაბარება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების, მათი სამეურნეო ინიციატივის და ფართო თვითმოქმედების გაშლის საფუძველზე, ჩვენში ადგილი აქვს ნაციონალურ - კულტურული მშენებლობის აღმავლობას.

იზრდებიან პროლეტართა ახალი კადრები ადგილობრივ მკვიდრ ეროვნებათაგან. მათი წრიდან ათასობით იზრდება სპეციალისტები და მეურნეობის საუკეთესო ხელმძღვანელები. მიმდინარე წელს მთლიანად დამთავრდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება. იზრდება ნაციონალური ლიტერატურა, ბეჭდვითი სიტყვა და ხელოვნება.

ყველა ამ წარმატებას ამიერ-კავკასიის ორგანიზაციამ მიაღწია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობის შედეგად, ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის პირად მითითებათა და დახმარების შედეგად (ტაში).

ყველა ამ ამოცანიდან. რომლებიც დგას ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების წინაშე, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების წინაშე, უფრო მნიშვნელოვანია ბრძოლა ნავთისათვის ამიერ-კავკასიაში 1933 წ. მოპოვებული ნავთის ხვედრითი ტონა შეადგენდა მთელი იმ ნავთის 52 პროც, მეტს, რომელიც მოპოვებულ იქნა საბჭოთა კავშირში. ამ წელს, ამხანაგებო, იგი შეადგენს 70 პროც. მეტს. 1933 წელს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობამ საბჭოების ქვეყანას მისცა 15.325.000 ტონა ნავთი. ამიერ-კავკასიამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ნავთის როგორც ძირითადი გეგმა, ისე პარტიის და მთავრობის ყველა დამატებითი დავალება.

1934 წელს ჩვენ საბჭოთა კავშირს უნდა მივცეთ 22 მილიონი ტონა ნავთი, აქედან ერთი მილიონი ტონა გაზი. ნავთის ამოღების გადიდება მარტო 1934 წელს უდრის 7 მილიონ ტონას, ე. ი. უდრის დაახლოებით ნავთის იმ რაოდენობას, რომელსაც ბაქოს მთელი მრეწველობა 1913 წელს ღებულობდა (1913 წელს ბაქოს სარეწაოებში ამოღებული იქნა 7.400.000 ტონა). 45 პროც. ჩვენ უნდა ამოვიღოთ ახალ, ჯერ კიდევ ნაკლებად ათვისებულ სარეწაოებში. 1934 წელს ჩვენ უნდა გავბურღოთ 864.000 მეტრი, მათგან ნახევარზე მეტი აგრეთვე ახალ სარეწაოებში. ამხ. სტალინის წინადადებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დაყოფილ იქნას აზნავთი და შეიქმნას სამი ტრესტი. ეს დაყოფა ხელს შეუწყობს წარმოების სამეურნეო - ტექნიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. მერყეობა ნავთის ამოღების მხრივ, რასაც იანვარში ადგილი ჰქონდა, იმით აიხსნება, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულეთ რა 1933 წელს ნავთის ამოღების გეგმა. ჩვენ ჩამოვრჩით ბურღვის დარგში. ახლა, უკვე იანვარში ბურღვის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება. გარდა ამისა, მთელ რიგ მაღალ დებეტიან ჭაბურღილებმა, რომლებიც ამუშავებულ იქნა, ავარია განიცადეს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, ამხანაგებო, — ამისათვის გვერდის ავლა შეუძლებელია, — რომ სათანადო ორგანიზაციები, რომელნიც აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობას მოწყობილობით ამარაგებენ, მთავრობის დავალებებს და გადაწყვეტილებებს როდი ასრულებენ სავსებით ზუსტად და დროიანად. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ იანვრის დანაკლისი პირველ კვარტალში შევავსოთ, ამასთან უნდა ითქვას, რომ ჩვენ სისტემატიურად ვერ ვღებულობთ მთლიანად მოწყობილობას, ვერ ვღებულობთ მთლიანად მილებს, საბურღ-დაზგებს. სატვირთო მანქანებს, ხე-ტყეს, ტრაქტორებს და სხვა მოწყობილობის ხარისხი ყოველთვის როდი აკმაყოფილებს ნავთის მრეწველობის მოთხოვნებს. საჭიროა, რომ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მიმწოდებელი ქარხნების დირექტორებმა და პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული კონტროლი გაუწიონ მოწყობილობით ნავთის მრეწველობის მომარაგებას. ნავთის ამოღების გადიდება 1934 წელს მოითხოვს აგრეთვე როგორც წყლის, ისე რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას. საჭიროა. ამხანაგებო, გზათა სახალხო კომისარიატმა და წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისარიატმა ახლავე მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ნავთი დროიანად გადაზიდონ საბჭოთა კავშირის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და რაიონებისათვის.

ვგრძნობთ რა მთელ პასუხისმგებლობას, რომელიც გვაწევს ჩვენ, ამიერ-კავკასიის ორგანიზაციას. ამიერ - კავკასიის ბოლშევიკები ვაკეთებთ და გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ საბჭოების ქვეყანას 1934 წელს მივცეთ 22 მილიონი ტონა ნავთი **(ტაში)**.

კაგანოვიჩი. ვაშა, თქვენ!

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენი მუშაობის უმნიშვნელოვანეს უბანს წარმოადგენს ბამბისათვის ბრძოლა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1933 წელს დაგვისახა ამოცანა — გადავაქციოთ ამიერ-კავკასია საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზად. ამ ამოცანას ჩვენ წარმატებით ვასრულებთ. 1933 წელს ბამბას ეკავა 235 ათასი ჰექტარი. მოკრეფილ იქნა 148 ათასი ტონა ბამბა, აქედან 14.200 ტონა ეგვიპტური ბამბა. ეგვიპტის ბამბის გეგმა ჩვენ შევასრულეთ 105 პროც. ბამბის მთელი გეგმა შესრულებულია 100,3 პროც. ბამბის მოსავლიანობა ჰექტარზე 1933 წლის 3,7 ცენტნერიდან 1933 წელს გადიდდა 6,7 ცენტნერამდე. 1933 წელთან შედარებით მოსავლიანობა ჩვენ, დაახლოვებით, გავაორკეცეთ. ამჟამად, ამხანაგებო, ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ ჩვენი ბამბის მოსავლიანობა გაცილებით მეტი იყოს და ხარისხიც გაუმჯობესდეს. ჩვენ ვცდილობთ მოსავლიანობის საქმეში გავუთანაბრდეთ შუააზიას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ეგვიპტის ბამბის დანერგვას და განვითარებას თუ 1933 წ. ჩვენ გვქონდა სულ 40 ჰექტარი ეგვიპტის ბამბა, 1933 უკვე გვქონდა 25 ათას ჰექტარზე მეტი, ხოლო 1934 წლისათვის დამტკიცებულია გეგმა 40 ათასი ჰექტარის რაოდენობით და ეგვიპტის ბამბის მოსავლიანობა განსაზღვრულია 6,5 ცენტნერი ჰექტარზე. ამიერ-კავკასია უნდა გადაიქცეს ბამბის არა მარტო საერთოდ მეორე ბაზად, არამედ ეგვიპტის ბამბის უმნიშვნელოვანეს ბაზადაც. ეგვიპტის ბამბის მხრივ ამხ. ბაუმანო, ჩვენ კიდევ შეგეჯიბრებით.

აქ, ამხანაგებო, არ შეიძლება არ აღინიშნოს ყურადღების ერთგვარი ნაკლებობა ჩვენი საკავშირო მიწსახკომის მხრივ ბამბისათვის ამიერკავკასიის ბრძოლის საქმეში.

საგრძნობი წარმატებები ამიერკავკასიაში ჩვენ გვაქვს აგრეთვე ჩაის გაშენების მხრივ.

ჩვენი პარტიის ცენტ. კომიტეტმა 1931 წელს ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების წინაშე დასახა ამოცანა —მეორე ხუთწლედში ძირითადად დავაკმაყოფილოთ მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ. ორი წლის — 1932-33 წლების განმავლობაში ჩვენ ახლად გავაშენეთ დაახლოებით 13.900 ჰექტარი. ამხანაგები ნუ იფიქრებენ, რომ 13.900 ჰექტარი ეს პატარა ციფრია ჩაის ერთი ათასი ჰექტარი თავისი შრომატევადობის მხრივ უდრის დაახლოებით 50—60 ათას ჰექტარ მარცვლეულ კულტურებს. არსებული პლანტაციების აღდგენის და რეკონსტრუქციის საქმეში უდიდესი სამუშაოთა ჩატარების შედეგად ჩვენ უკვე გვაქვს 33.325 ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

1933 წელს ჩვენ მოვკრიფეთ 3 მილიონ კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი და მივეცით საბჭოების ქვეყანას მილიონ ნახევრამდე კილოგრამი ხმელი კარგი ჩაი.

ჩვენ უკვე ვისწავლეთ ჩაის ისეთი ჯიშების გამომუშავება, რომლებიც თავისი ხარისხით ცეილონურ საუკეთესო ჯიშებს არ ჩამოუვარდება ჩვენ სათანადო ორგანიზაციებისაგან მიღებული გვაქვს ჩვენი ჩაის ხარისხის შეფასება. ჩაის კულტურის გაშენებას მისდევს საქართველოს 17 რაიონი, 60 ათასი გლეხური მეურნეობა. ჩაი, რომელიც უმთავრესად კოლმეურნეობების მინდვრებზე მოჰყავთ, გადაიქცა კოლმეურნეთა მასის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითად წყაროდ. უკვე გასულ 1933 წელს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, „რომ საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას უცხოეთისაგან ჩაის წარმოების დარგში". ჩაის კულტურის შემდგომ განვითარებაში ჩვენ მთავარ ყურადღებას ვაქცევთ მოსავლიანობის გადიდებას. უკვე ამჟამად, ამხანაგებო, ჩვენ ცალკე კოლმეურნეობებში ჰექტარზე დაახლოვებით 1200—1300 კილოგრამს ვღებულობთ. ეს, ამხანაგებო, დიდი მიღწევაა, მაგრამ მოსავლიანობის მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ვართ ცეილონისა და სხვა რაიონებისაგან, განსაკუთრებით იაპონიისაგან. იაპონია თვითონ ღებულობს 2—3 ჯერ უფრო მეტ მოსავალს ვიდრე ცეილონი, იავა და სხვ.

აქ, ამხანაგებო, უნდა აღინიშნოს, რომ მიწსახკომი და აგრეთვე მიწსახკომთან მოწყობილი სუბტროპიკების კომიტეტი დაობენ ურთიერთ შორის, ვის უფრო ევალება სუბტროპიკებზე ზრუნვა. ამიტომ ვერც მიწსახკომის და ვერც სუბტროპიკების კომიტეტის მხრივ ჩვენ ვერ ვხედავთ საკმაო პრაქტიკულ დახმარებას. ვერ ვხედავთ, ამხანაგებო, აგრეთვე სხვა რამესაც. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა უკვე 1934 წელს მთელი 100 პროცენტით დაკმაყოფილდეს ჩაის რაიონები სასუქით, უკეთ მოეწყოს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა და დასახა მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ ფართობის შემდგომი ზრდის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების და მოსავლიანობის გადიდების შესაძლებლობას. ეს გადაწყვეტილებანი, ამხანაგებო, ჯერჯერობით არ არის განხორციელებული იმ არანორმალური ურთიერთობის გამო, რომელიც არსებობს სუბტროპიკების კომიტეტსა და საკავშირო მიწსახკომს შორის. საქართველოს ნესტიანი სუბტროპიკების რაიონები (აჭარისტანი, გურია, აფხაზეთი, სამეგრელო), კოლხიდის დაბლობის — ხოლო ეს დაბლობი საკმაოდ დიდია— დაახლოვებით 214 ათასი ჰექტარი —ამჟამად წარმოებულ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ გადაიქცევიან უდიდეს მთლიან მასივად, სადაც განვითარდება სუბტროპიკული ბაღები ამხ. სტალინმა მიგვითითა რომ საჭიროა სუბტროპიკული კულტურების ყოველნაირად განვითარება ამიერ-კავკასიაში. ჩვენ, ამხანაგებო, უკვე გვაქვს მილიონ ნახევრამდე სუბტროპიკული ხე-მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი (ტაში). მხოლოდ ორი წლის —1932 და 1933 წ. წ. განმავლობაში ჩვენ დავრგეთ 400 ათასამდე ხე საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მინდვრებზე. ციტრუსოვანი კულტურების გაშენება ამჟამად მიმდინარეობს ამიერ-კავკასიაში შავი ზღვის ნაპირებზე, მაგრამ ციტრუსებმა შეიძლება იხაროს აგრეთვე სხვა რაიონებშიაც. ეს არის კასპიის ზღვის სანაპირო რაიონი ლენქორანის რაიონი და ასტარა სპარსეთის საზღვარზე. ამაზედაც ჩვენ მიგვითითა ამხ. სტალინმა. ისე, როგორც ჩაი, ციტრუსოვანი კულტურები ხდება კოლმეურნეთა მასების კეთილდღეობის გადიდების მძლავრ წყაროდ. უკვე გასულ წელს კოლმეურნეები 200—300 ძირ ხიდან, აბარებდნენ რა თავის პროდუქციას სახელმწიფოს, ღებულობდნენ 20—30 ათას მანეთზე მეტს. არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებმაც სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების შემდეგ მიიღოს 40 — 50 ათასი მანეთი შემოსავალი.

ბაუმანი. მეურნეობაზე?

ბერია. მეურნეობაზე.

1933 წ. მანდარინის საერთო მოსავალმა საქართველოში მიაღწია სარეკორდო ციფრს — დაახლოვებით 100 მილიონ ცალს. ამხ. სტალინმა ჩვენს წინაშე დასახა ამოცანა—1937 წელს საბჭოთა ქვეყანას მივცეთ ციტრუსოვანი კულტურების არა ნაკლებ ნახევარი მილიარდი ცალი ნაყოფისა. მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, რომლებიც წინათ ფუფუნების, მხოლოდ ბურჟუაზიისთვის ხელმისაწვდომ საგანს შეადგენდა. ამიერიდან უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მოხმარების საგნად. ჩვენს წინაშე დასახულია საპატიო ამოცანა —მივაწოდოთ ციტრუსები საბჭოთა ქვეყნის მუშების სუფრას. ჩვენ, ამხანაგებო, ყოველგვარი პირობა მოგვეპოება იმისთვის, რომ შევასრულოთ ამხ. სტალინის დავალება და ვაცხადებთ, რომ 1937 წელს მივცემთ საბჭოთა ქვეყანას ციტრუსების ნახევარ მილიარდ ცალს ნაყოფს. **(ტაში, ხმები: „აი, ეს მართალია!").**

ამ მიღწევებთან ერთად ჩვენ გვაქვს ბევრი ძალიან დიდი ნაკლი და დეფექტი. ამხ. სტალინის მითითებები ჩვენი მუშაობის დეფექტების შესახებ სავსებით ეხება ამიერ-კავკასიასაც, ამხ. სტალინის მოხსენება ჩვენთვის წარმოადგენს მუშაობის საბრძოლო პროგრამას. არაჩვეულებრივი სიცხადით და სიმართლით, გენიალური გამჭრიახობით ამხ. სტალინმა დასახა ჩვენი წინსვლის შემდგომი გზა. ამხ სტალინის მოხსენება აღაფრთოვანებს პარტიას, მუშებს და კოლმეურნეებს სოციალისტური მშენებლობის შემდგომ გამარჯვებათათვის საბრძოლველად. ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაცია, ამიერკავკასიის პარტიული კადრები, ამიერ - კავკასიის პარტიული ორგანიზაციის ყველა წარმატება და გამარჯვება სოციალისტური მშენებლობის საქმეში განუყრელად დაკავშირებულია ამხ. სტალინის სახელთან **(ხანგრძლივი ტაში)**. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები იბრძოლებენ იმისათვის, რომ ამიერ - კავკასიის ფედერაცია გადააქციონ საბჭოების ქვეყნის მოწინავე რესპუბლიკად.

გაუმარჯოს ლენინურ შტაბს — ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს! (ტაში)

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა

ყრილობის 29 იანვრის საღამოს სხდომაზე

სამ ნახევარი წლის მანძილზე, რომელმაც განვლო პარტიის მე-16 და მე17 ყრილობებს შორის, ჩვენ ერთდაიმავე დროს გადავწყვიტეთ სამი ძირითადი საკითხი: მძიმე მრეწველობის — მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის საფუძვლის შექმნა, სოფლის მეურნეობის რეორგანიზაცია სოციალისტურ საფუძველზე და ქვეყნის თავდაცვის განმტკიცება.

აქედან გამომდინარეობს ის უდიდესი სიძნელეები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში.

იმაზე, თუ როგორ მუშაობდა პარტია ამ წლებში, როგორ შენდებოდა ჩვენი სოციალისტური მეურნეობა, — პასუხი გასცა ამხ. სტალინმა თავის ბრწყინვალე მოხსენებაში. ამ მოხსენებაში მთელი სიცხადით და ამომწურავი სისრულით მოცემულია ჩვენი გამარჯვებებისა და ჩვენი ნაკლოვანებების სურათი. მან ჩვენ მოგვცა განვლილი გზის ღრმა მარქსისტულ - ლენინური ანალიზი და ჩვენი მომავალი მუშაობის პროგრამა, როგორც პარტიულ სამეურნეო მშენებლობის საკითხების, ისე საგარეო პოლიტიკის ხაზით.

თვითეული მუშაკი, სადაც უნდა მუშაობდეს ის, ჰპოვებს მის მოხსენებაში იმას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მან.

ნება მომეცით განვაცხადო, რომ მომხსენებელმა ყველა საკითხი აიყვანა ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც ისინი იყავდა ჩვენს მასწავლებელსა და ჩვენი პარტიის ორგანიზატორს, ოქტომბრის გამარჯვებათა ორგანიზატორს, ყველა საუკუნეთა უდიდეს რევოლუციონერს, დიდი მარქსის დიდ მოწაფეს და მის განმგრძობს — ლენინს **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ლენინი დაგვშორდა ათი წლის წინათ, მაგრამ ლენინიზმი, მისი დროშა წარმოადგენდა ჩვენთვის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს, მან დაგვიხაზა ჩვენი მოქმედების პროგრამა.

ჩვენს ყველა გამარჯვებას მთლიანად და სავსებით უნდა ვუმადლოდეთ ლენინიზმს, - ლენინს. (მქუხარე ტაში).

ჯერ კიდევ 1917 წელს თავის შემდგომ დებულებებში, რომლებიც დაწერილია ოქტომბრის რევოლუციის წინ, ლენინი როგორც, გიგანტური, პროჟექტორი აშუქებს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ ამოცანებს. ის წერს:

მთელი რიგი ისტორიული მიზეზების გამო: რუსეთის დიდი ჩამორჩენილობის, მისთვის ომის განსაკუთრებული სიძნელეების, ცარიზმის უაღრესი სიდამპლის, 1905 წლის ტრადიციების უაღრესი ცხოველმყოფელობის გამო რუსეთში სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე იფეთქა რევოლუციამ.

რევოლუციამ გააკეთა ის, რომ რამდენიმე თვეში რუსეთი თავისი **პოლიტიკური** წყობილებით დაეწია მოწინავე ქვეყნებს.

მაგრამ ეს ცოტაა. ომი ულმობელია. ის აყენებს საკითხს ულმობელი სიმკაცრით: ან უნდა დავიღუპოთ, ან დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს და კიდეც გავუსწროთ მათ ეკონომიურადაც". (ლენინი, თხზ. კრებული, გამოცემა მე-2. ტომი 21 გვ. 191).

ამ სიტყვებით წინასწარ განსაზღვრულია ჩვენი სამეურნეო განვითარების ტემპები.

გამძაფრებული სამოქალაქო ომის წლებში, ნგრევისა და შიმშილის წლებში ის აყენებს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმას.

იმავე წლებში ლენინმა დასვა საკითხი სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის შესახებ. ის ლაპარაკობს:

„სანამ ჩვენ ვცხოვრობთ წვრილგლეხურ ქვეყანაში, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის. ეს აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, თვითეულმა, ვინც გულდასმით ადევნებს თვალყურს სოფლად ცხოვრებას, იცის, რომ ქალაქის ცხოვრებასთან შედარებით, ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოგვიგდია და საძირკველი, შინაური მტრის დასაყრდენი, არ დაგვინგრევია. უკანასკნელი ემყარება წვრილ მეურნეობას და, რომ დავანგრიოთ ის, არსებობს ერთი საშუალება — გადავიყვანოთ ქვეყნის მეურნეობა, მათ შორის მიწათმოქმედება, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე" (ლენინი, მოხსენება საბჭოთა მე-8 ყრილობაზე, დეკემბერი 1922 წ.).

1922 წლის ნოემბერში ლენინი მძიმე მრეწველობის შესახებ ამბობდა:

„რუსეთის ხსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში, — ეს ჯერ კიდევ ცოტაა — და არც მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც გლეხობას მოხმარების საგნებს აწვდის —ესეც კიდევ ცოტაა. ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე **მძიმე** ინდუსტრია. ხოლო იმისათვის, რომ იგი კარგ მდგომარეობაში მოვიყვანოთ, საჭირო იქნება მრავალი წლის მუშაობა.

მძიმე ინდუსტრიას ესაჭიროება სახელმწიფო სუბსიდიები. თუ მათ ჩვენ ვერ ვიშოვით, მაშინ ჩვენ როგორც ცივილიზებული სახელმწიფო, აღარ ვლაპარაკობ როგორც სოციალისტური, — დავიღუპებით" (ლენინი, მოხსენება კომუნისტური ინტერნაციონალის მე-4 კონგრესზე 1923 წლ. ნოემბერს).

აი, ამხანაგებო, დიდი გენიოსის მიერ დასახული პროგრამა. ლენინის ეს დებულებანი საფუძვლად დაედო ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზს. ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის. რიკოვის, ბუხარინის ტომსკის და სხვათა იერიშები ამხ. სტალინის წინააღმდეგ ლენინის გარდაცვალების შემდეგ იყო იერიშები ლენინიზმის წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის ლენინური ხაზის წინააღმდეგ. და ჩვენ ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ, რამდენიც უნდა იფიცონ ყველა ჯურის ოპორტუნისტებმა, რომ იერიშები ამხ. სტალინზე მათ ჰქონდათ ხოლოდ იმიტომ, რომ ის იყო ლენინის მოძღვრების ბრწყინვალე გამტარებელი (ტაში).

ტროცკისტებთან სასტიკ ბრძოლაში ამხ. სტალინმა პარტიის მე-14 ყრილობაზე ისეთივე ოსტატობით, ისეთივე გაბედულობით და სიღრმით, როგორიც ლენინს ახასიათებდა მარქსის მოძღვრების დამუშავებისა და განხორციელებისას, გაშალა ლენინური დებულება მძიმე მრეწველობის შესახებ და მის საფუძველზე მოგვცა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გაშლილი პროგრამა. ის ამბობდა:

„...დავაქციოთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად. რომელსაც შეეძლება თავისი საკუთარი ძალებით დაამზადოს აუცილებელი მოწყობილობა, — აი რა შეადგენს ჩვენი გენერალური ხაზის რაობას და საფუძველს.

ჩვენ ისე უნდა დავაყენოთ საქმე, რომ სამეურნეო მუშაკთა აზრები და მისწრაფებანი მიმართული იყოს სწორედ ამ მხრით, იმ მხრით, რომ გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა მოწყობილობის შემომტან ქვეყნიდან ამ მოწყობილობის დამამზადებელ ქვეყანად. ვინაიდან ესაა—ჩვენი ქვეყნის სამეურნეო დამოუკიდებლობის ძირითადი გარანტია. ვინაიდან ესაა იმის გარანტია, რომ ჩვენი ქვეყანა არ იქნება გადაქცეული კაპიტალისტური ქვეყნების დამატებად.

მათ, დაუესის ავტორებს სურდათ შევეზღუდეთ ჩვენ, ვთქვათ, ჩითის წარმოებით, მაგრამ ეს ჩვენთვის ცოტაა, ვინაიდან ჩვენ გვინდა დავამზადოთ არა მარტო ჩითი, არამედ ჩითის წარმოებისათვის საჭირო მანქანებიც. მათ უნდოდათ, დავკმაყოფილებულიყავით, ვთქვათ, ავტომობილების წარმოებით, მაგრამ ჩვენთვის ეს ცოტაა, ვინაიდან ჩვენ გვინდა დავამზადოთ არა მარტო ავტომობილები, არამედ ავტომობილების დამამზადებელი მანქანებიც. მათ სურთ შეგვზღუდონ ჩვენ, ვთქვათ, ფეხსაცმელების წარმოებით, მაგრამ, ეს ჩვენთვის ცოტაა, ვინაიდან ჩვენ გვინდა დავამზადოთ არა მარტო ფეხსაცმელი, არამედ ფეხსაცმელის დამამზადებელი მანქანებიც და სხვა დასხვ.

აი, რაში მდგომარეობს ორი გენერალური ხაზის განსხვავება და აი რისი გაგება არ სურს ამხ. სოკოლნიკოვს. ჩვენს ხაზზე უარის თქმა—ნიშნავს ჩამოვშორდეთ სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, ნიშნავს დავადგეთ ჩვენი ქვეყნის დაუესიზაციის თვალსაზრისს". (სტალინი, მე-14 პარტყრილობა).

მაპატიოს ამხ. სოკოლნიკოვმა, თუ მე დღეს მისი სახელი გავიხსენე.

ამხ. **ლუბჩენკო:** არა უშავს რა, ეს სასარგებლოა.

აი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გაშლილი ლენინური პროგრამა. აქ ყველაფერია ნათქვამი. ჯერ კიდევ პარტიის მე-14 ყრილობაზე 1925 წელს ამხ. სტალინმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ დავამზადოთ არა მარტო ავტომობილები, არამედ ის დაზგებიც, რომლებიც ამზადებენ ავტომობილებს. ამხ. სტალინმა მაშინ ჩვენ მიგვითითა, თუ როგორ უნდა გვეშენებინა სახელმწიფო; რათა იგი არ გადაქცეულიყო კაპიტალისტური სახელმწიფოების დამატებად.

სხვა ადგილას და სხვა პირობებში ამხ. სტალინი აყენებს ლენინის ფორმულას „დავეწიოთ და გავუსწროთ" და მის საფუძველზე ავითარებს მოქმედების კონკრეტულ გეგმას.

„ტემპების შენელება ნიშნავს ჩამორჩენას. ხოლო ჩამორჩენილებს სცემენ. ჩვენ კი არ გვინდა ნაცემთა რიცხვში მოვყვეთ. არა, არ გვინდა! ძველი რუსეთის ისტორია, სხვათა შორის, მდგომარეობდა იმაში, რომ მას განუწყვეტლივ სცემდნენ ჩამორჩენილობისათვის. სცემდნენ მონგოლთა ხანები. სცემდნენ თურქი ბეგები. სცემდნენ შვედელი ფეოდალები. სცემდნენ პოლონელ - ლიტველი პანები. სცემდნენ ინგლის - საფრანგეთის კაპიტალისტები. სცემდნენ იაპონელი ბარონები. სცემდნენ ყველანი — ჩამორჩენილობისათვის; სამხედრო ჩამორჩენილობისათვის, კულტურული ჩამორჩენილობისათვის, სახელმწიფოებრივი ჩამორჩენილობისათვის, სამრეწველო ჩამორჩენილობისათვის, სასოფლო - სამეურნეო ჩამორჩენილობისათვის. სცემდნენ იმიტომ, რომ ეს მათთვის სახეირო იყო და დაუსჯელად ჩაუვლიდათ. ხომ გახსოვთ რევოლუციამდელი პოეტის სიტყვები: „ღატაკიცა ხარ და თანაც უხვი, ძლიერიცა ხარ და თანაც უმწეო—დედა-რუსეთო"! ძველი პოეტის ეს სიტყვები კარგად გაიზეპირეს ამ ვაჟბატონებმა. ისინი სცემდნენ და თან ეუბნებოდნენ: შენ უხვი ხარ — მაშასადამე შეიძლება შენს ხარჯზე გავმდიდრდეთ. ისინი სცემდნენ და თან ეუბნებოდნენ: „შენ ღატაკი და უმწეო ხარ—მაშასადამე შეიძლება შენი ცემა და ძარცვა, დაუსჯელად. ასეთია ექსპლოატატორების კანონი — ჩამორჩენილებს და სუსტებს სცემენ. ესაა კაპიტალიზმის მგლური კანონი. შენ ჩამორჩი, შენ სუსტი ხარ—მაშასადამე მართალი არა ხარ, მაშასადამე, შეიძლება შენი ცემა და დამონება. შენ ძლიერი ხარ—მაშასადამე შენ მართალი ხარ, მაშასადამე, შენ უნდა გერიდონ. აი რატომ აღარ შეიძლება ჩამორჩენა" (სტალინი. სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველი საკავშირო კონფერენცია 1931 წელს).

კაპიტალისტებისათვის სასიამოვნო იქნებოდა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოფილიყო უხვი, მაგრამ ჩამორჩენილი. ხოლო ჩვენთვის და თქვენთვის საჭიროა, ჩვენი ქვეყანა იყოს უხვიცა და ძლიერიც (ტაში) და ტყუილად როდი თქვა ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში: დაე იმინონ ეს იმათ, ვინც უნდა იმინოს—ნუ გამოყოფთ თქვენს ღორულ დინგს ჩვენს საბჭოთა ბოსტანში (ტაში).

თქვენ იცით, თუ როგორ წუხდა ვლადიმერ ილიჩ-ძე სოფლის მეურნეობის შესახებ. იგი გვასწავლიდა: სანამ ჩვენ ვრჩებით ქვეყნად წვრილი გლეხური მეურნეობისა, რომელიც სტიქიურად წარმოშობს კაპიტალიზმს, არ არის აღმოფხვრილი კაპიტალიზმის რესტავრაციის საშიშროებათ. ეს მან თქვა 1920 წელს. ამხ. სტალინმა სხვა პირობებში, ლენინის შემდეგ, მოამზადა რა ძალები შეტევისათვის, მამაცურად წამოიწყო 1929 წელს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის და მთლიანი კოლექტივიზაციის ლოზუნგი. ამით დღის წესრიგში დგება ილიჩის იმ დებულების პრაქტიკულად გადაჭრა, რომელიც ეხება წვრილი გლეხური მეურნეობის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს არა წვრილი გლეხური მეურნეობა, არამედ ჩვენი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი. ჩვენი ტრაქტორებით, ჩვენი საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. კაპიტალიზმის რესტავრაციის საშიშროება, ქვეყნის შიგნით კლასობრივ ძალთა ურთიერთობის თვალსაზრისით, ჩვენთვის სამუდამოდ გაქრა. (ტაში).

სამ ნახევარი წლის განმავლობაში ისე, როგორც წინათ, ამხ. სტალინი იყო მთელი ჩვენი პოლიტიკის, მთელი ჩვენი სოციალისტური მეურნეობის სული და გული ამ სამნახევარი წლის განმავლობაში, როცა გვიხდებოდა, როგორც მე უკვე ვთქვი, სამი უდიდესი საკითხის გადაჭრა ერთდაიმავე დროს, არა ერთხელ დავმდგარვართ სიძნელეების წინაშე, მაგრამ ყოველთვის ამ ძნელ მომენტებში გაისმოდა ამხ. სტალინის სიტყვა. 1931 წლის ზაფხულს, როცა მეურნეობაში გვქონდა სიძნელეები და შეფერხება, როცა ქვანახშირის მხრივ საქმე ცუდად იყო, როცა მთელს მრეწველობაში არ იყო სახარბიელო მდგომარეობა, ჩვენ კვლავ გვესმის ამხ. სტალინის მოწოდება, მისი შესანიშნავი ექვსი პირობა, რომლებიც საფუძვლად დაედო მთელს ჩვენს სამეურნეო მუშაობას. მათ საფუძველზე ჩვენმა პარტიამ მოიპოვა გამარჯვებანი.

ასე დღითიდღე ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში გვასწავლიდა ამხ. სტალინი, მიგვითითებდა, თუ როგორ უნდა გვემუშავნა, და ამის შედეგად გვაქვს უდიდესი გამარჯვება. ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის, ინდუს-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვის გაგრძელება

ტრიალიზაციისა და კოლმეურნეობებისათვის განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი განვითარების ტემპების საკითხთან. ამიტომ ლენინის გარდაცვალების შემდგომ წლებში წარმოებული ბრძოლა იყო, ტემპებისათვის ბრძოლა. ახლა ცოტაა თუ აღმოჩნდებიან ისეთი სულელები, რომელნიც იტყვიან, რომ ისინი საერთოდ ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგნი არიან, რომ ისინი საერთოდ მძიმე მრეწველობის წინააღმდეგნი არიან, რომ ისინი საერთოდ კოლექტივიზაციის წინააღმდეგნი არიან. მაგრამ იქნებ რამენაირად უფრო ნელი ნაბიჯით ვიაროთო. მთელი საკითხი ის არის, თუ როგორი ტემპებით უნდა ვიაროთ. რამდენიც უნდა იფიცონ და რამდენიც უნდა ილაპარაკონ მემარჯვენეებმა და „მემარცხენეებმა", მათ ერთხელ და სამუდამოდ უნდა უთხრან თავისთავს და ყველას, რომ მათი ბრძოლა იყო ბრძოლა ბოლშევიკური ტემპების წინააღმდეგ. ხოლო ეს იყო ბრძოლა ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ, კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ვინაიდან ჩვენ რომ არ განგვევითარებინა აჩქარებული ტემპები, ჩვენში არსებულ სიძნელეთა წინაშე, რომ შევჩერებულიყავით, ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას უეჭველად დავღუპავდით.

ნება მომეცით მოვიყვანო აქ ზოგიერთი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი იზრდებოდა ამ წლების განმავლობაში მძიმე მრეწველობა.

ამ წლების განმავლობაში ჩვენ ვაწარმოებდით უდიდეს კაპიტალურ მშენებლობას, ამავე დროს უნდა აგვეთვისებინა ახალი ქარხნები, შეგვექმნა ახალი წარმოებანი, მოგვემზადებინა ახალი კადრები. ეს როდი იყო ადვილი ამოცანა ცარიელ ადგილზე ხარკოვის თუ გორკის მახლობლად, სადაც მაგნიტის მთასთან კუზნეცკსა ან ზაპოროჟიეში დნეპრზე, სრულიად ცარიელ ადგილას უნდა შეგვექმნა უდიდესი ქარხნები და ფაბრიკები, შემოგვეღო სრულიად უცხო ტექნიკა, აგვეთვისებინა ეს ტექნიკა.

ეს უნდა გაკეთებულიყო მაქსიმალური სისწრაფით; მაგრამ ეს მოითხოვდა უდიდეს ძალებს მოითხოვდა ქვეყნის ყველა საშუალებათა დაძაბვას; პარტიამ და მუშათა კლასმა ეს უზრუნველყვეს. რა გვაქვს ჩვენ ამის შედეგად? რა ძვრები გვაქვს მძიმე მრეწველობაში? მე მოვიყვან რამდენიმე ციფრს, რომლებიც მოგვცემს მძიმე მრეწველობაში მომხდარი ცვლილებების სურათს; ციფრები, რომელთაც მე დავასახელებ, შეიცავენ საერთო პროდუქციის დაახლოებით 87 პროცენტს.

1930 წელს ე. ი. მე-16 ყრილობის პერიოდში 7,6 მილიარდ მანეთის პროდუქციიდან ძველმა ქარხნებმა მოგვცეს 6 მილიარდი მანეთის, ე. ი. მთელი პროდუქციის თითქმის ოთხი მეხუთედი. ამასთან ძველ ქარხნებად მე ვთვლი იმ ქარხნებს, რომელთა ძირითადი ფონდები გაიზარდა არა უმეტეს 50 პროცენტისა. მე მათ ვტოვებ ძველი ქარხნების რიცხვში, ხოლო რეკონსტრუირებული ქარხნები — ეს ის ქარხნებია, რომელთა ფონდები გაიზარდა 150-დან 400 პროცენტამდე. ხოლო თითონ განსაჯეთ, როდესაც ერთიორად გავადიდეთ ამა თუ იმ საწარმოს ძირითადი ფონდები, რაღა დარჩებოდა მასში ძველი? ახალმა ქარხნებმა 1930 წელს მოგვცეს 16 პროც., ანუ 1,2 მილიარდი მანეთი. რეკონსტრუირებულმა ქარხნებმა 4 პროცენტი, ანუ 315 მილიონი მანეთი. 1933 წელს იმავე დარგის ქარხნებში, რომლებზედაც მე ვლაპარაკობ, იყო დაახლოებით 14 მილიარდის პროდუქცია, რომელთაგანაც 10,8 მილიარდი ჩვენ მივიღეთ ახალი და რეკონსტრუირებული ქარხნებისგან, ხოლო სამი მილიარდი ძველი ქარხნებისგან. მანქანათმშენებლობის ხაზით 1930 წელს 3,6 მილიარდი მანეთიდან 3 მილიარდი მანეთის ჩვენ მივიღეთ ძველი ქარხნებისგან, ხოლო 870 მილიონი მანეთის ახალი და რეკონსტრუირებული ქარხნებისგან 1933 წელს 8 მილიარდი მანეთის პროდუქციიდან მხოლოდ 1,8 მილიარდი მანეთის პროდუქცია მივიღეთ ძველი ქარხნებისგან. ხოლო ახალ და ძირეულად რეკონსტრუირებულ ქარხნებისგან ჩვენ მივიღეთ 6,2 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

ძირითადი ქიმიური მრეწველობის ხაზით ძველი ქარხნები 143 მილიონი მანეთის პროდუქციიდან 1930 წელს იძლეოდნენ 120 მილიონ მანეთს, ხოლო ახლა 280 მილ. მან. ერთიანი პროდუქციიდან ძველი ქარხნები იძლევიან მხოლოდ 16 მილიონ მანეთის პროდუქციას (ამხ. ბალიცკი: ოჰო!).

აი, ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა ამ წლების განმავლობაში მძიმე მრეწველობაში. რას მოწმობს ეს? ეს მოწმობს იმას, რომ ამ წლების განმავლობაში უნდა აგვეგო დიდძალი ფაბრიკები, ქარხნები, მაღაროები, [illegible] მადნები და სხვ. და აგვეთვისებინა ისინი. ვლადიმერ ილიჩი კომინტერნის მეოთხე კონგრესზე აღფრთოვანებით მოგვითხრობდა, თუ როგორ მოახერხა მან გამოენახა 20 მილიონი მანეთი ოქროთი მძიმე მრეწველობისათვის. უკანასკნელი სამნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ მძიმე მრეწველობაში დავაბანდეთ 21,5 მილიარდი მანეთი (ტაში). მათ შორის დაახლოებით ერთი მილიარდი ოქროს მანეთი იმპორტისათვის. მრეწველობის ძირითადი ფონდები ამ წლების განმავლობაში გაიზარდა 8,3 მილიარდ მანეთიდან 21,9 მილიარდ მანეთამდე. მარტო საწარმოო ფონდები რომ ავიღოთ (გამოვაკლოთ საბინაო და კომუნალური მშენებლობა და სხვ.), 6,60 მილიარდ მანეთის ნაცვლად, რომელიც ჩვენ გვქონდა 1930 წლის პირველ ოქტომბრისათვის 1934 წლის პირველი იანვრისათვის ჩვენ გვაქვს 16,7 მილიარდი მანეთი, მომატება უდრის 151 პროცენტს.

აქედან გასაგებია ის დაძაბულობა, რომელიც უნდა განეცადა სახალხო მეურნეობას, რომ შეექმნა თავისი მრეწველობა.

ამხ. სტალინი ამასთან ყოველთვის გვეუბნებოდა: თუ გინდათ შექმნათ მრეწველობა, თუ გსურთ, რომ ჩვენი ქვეყანა არ გადაიქცეს კაპიტალისტური ქვეყნების დანამატად, დავუჭიროთ ძალღონე და გავაკეთოთ, და რამოდენიმე წლის შემდეგ ნაყოფი გვექნება.

დღეს, ამხანაგებო, ამ ტრიბუნიდან შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ნაყოფი ჩვენ უკვე გვაქვს (ტაში). ამ ფონდებით, ჩვენ ავაგეთ ქარხნების, კარგი ქარხნების დიდი რაოდენობა. ჩვენ შეიძლება დაუტრაბახებლად ვთქვათ, რომ ასეთი ქარხნები ევროპაში არ მოიპოვება. სხვა საქმეა, თუ როგორ ვმუშაობთ ჩვენ ამ ქარხნებში, ამაზე შემდეგ ვილაპარაკებ. მაგრამ ქარხნები ჩინებულადაა აგებული. თუ ჩვენს ავტო სატრაქტორო ქარხნებს ავიღებთ, უნდა ვთქვათ, რომ ევროპაში ასეთი ქარხნები არ არის. თუ ავიღებთ ჩვენს ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანას, ასეთი უზარმაზარი, საუცხოვო ქარხანა არ არის არა მარტო ევროპაში, არამედ, მგონი, ამერიკაშიც. მე ბევრი მინახავს ჩვენში სხვადასხვა მშენებლობა, ხარვეზიც და ცუდიც, მაგრამ ასეთი ჩინებული მშენებლობა, როგორიც ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანაა, სხვა ჩვენ არ მოგვეპოვება. უნდა ითქვას მშენებლების, ურალელ ამხანაგების, განსაკუთრებით ამხ. ლაბაკოვის სასახელოდ, რომელიც არის მრეწველობის ნამდვილი მეგობარი, რომ ქარხანა საუცხოოდაა აგებული (ტაში).

მე-16 პარტყრილობაზე აღიარებულ იქნა მძიმე მანქანათმშენებლობის გაშლის აუცილებლობა, რომ საბჭოთა მოწყობილობით უზრუნველვეყოთ მშენებლობის პროცესში მყოფი მეტალურგიული ქარხნები სათბობი და ქიმიური მრეწველობა და სხვ. ამისათვის ავაგეთ კრამატორსკის ქარხანა — კარგი ქარხანა, ავაგეთ მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა ურალში, ჩვენ გვაქვს ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხანა სუმსკში, ისიც ძველ ქარხნად ითვლება. ეს — უდიდესი ქარხანაა. იჟორსკის ქარხანა და მთელი რიგი სხვა ქარხნები, რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ ყოველგვარი მოწყობილობა, როგორიც კი ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას. მხოლოდ საჭიროა მის გაკეთება, საჭიროა მოვისურვოთ ეს, საჭიროა ვიბრძოლოთ ამისათვის. ამავე დროს ჩვენ ხშირად ვაწყდებით ასეთ მოვლენებს. უუბნებ: აი საჭიროა ასეთი და ასეთი მანქანის დამზადება, ხოლო იგი გიპასუხებს: ეს არ შედის პროგრამაში. აბა როგორია შენი პროგრამა? ასეთი, აბა რა სიმძლავრე აქვს შენს ქარხანას? თურმე გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მისი პროგრამა. ეს ძალიან ხშირად ხდება და ამის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა.

რა შევძელით ჩვენ ამ წლების განმავლობაში? ჩვენ მოვახერხეთ მანქანათმშენებლობის დაყენება ჩვენში, მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის გასაღები — ჩვენს ხელშია. საჭიროა მხოლოდ მოხერხებულად და რაციონალურად გამოვიყენოთ ეს გასაღები. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ ამ გასაღებს რაციონალურად. სამეურნეო მუშაკები, თუ არასამეურნეო მუშაკები, ხოლო, ჩემის აზრით, ყოველგვარი სამუშაო ჩვენს ქვეყანაში — იქნება იგი პარტიული კომიტეტის მუშაობა, რაიკომის, რაიონული ადგილის ან ცენტრალური კომიტეტის, ან სამეურნეო მუშაკის—უწინარეს ყოვლისა, არის სამეურნეო მუშაობა (ხმები: სწორია).

ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს. ჩვენ ყველამ ყოველდღიურად უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ იმ უდიდესმა სიმდიდრეებმა, რომლებიც ჩვენ შევქმენით ამ წლების განმავლობაში, მოგვცეს უდიდესი ნაყოფი. ჩვენ ბევრი რამის გაკეთება მოგვიხდა. ჩვენ მოგვიხდა ახალი წარმოების დანერგვა არა მარტო ახალ ქარხნებში, არამედ ძველ ქარხნებშიაც. გვიხდებოდა დაგვეხურა ის წარმოებანი, რომლებიც წინათ იყო და გადავსულიყავით სხვა, ახალი სახის წარმოებაზე. ჩვენი ძველი მრეწველობა შეგუებული იყო სულ სხვა ამოცანებთან. თუ ავიღებთ, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, რას ამზადებდა იგი? იგი ამზადებდა მხოლოდ და მხოლოდ ცხენის ინვენტარს. მთელი სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობა აგებული იყო იმისათვის, რომ მომსახურება გაეწია ინდივიდუალისათვის, რომ მიეცა ისეთი მანქანა, ისეთი გუთანი, რომლის ამუშავებასაც შესძლებდა ერთი კარგი, ან ორი ცხენი. თავისთავად ცხადია, ასეთი მანქანათმშენებლობით ჩვენ არ შეგვეძლო შეგვექმნა ტექნიკური ბაზა კოლექტიური მეურნეობისათვის. 1930 წ ჩვენ ვამზადებდით 1.7[illegible] ათასი მან. ცხენის ინვენტარს, ცხენის სახნისებს, ხოლო ახლა ვუშვებთ მხოლოდ 79 ათასი მანეთისას (ხმები: ეს ცოტაა. არ გვყოფნის). თუ საჭიროა მეტი, ყოველ შემთხვევაში მრეწველობისათვის უფრო ადვილია დაამზადოს ცხენის სახნისი, ვიდრე სატრაქტორო გუთანი (ხმები: ამასთან ერთ არც ძალიან ძვირი). ამხანაგებო! ჩვენ ვამზადებდით 30—35 ათას ამომთხრელ მანქანას, ხოლო ახლა ვამზადებთ 11 ათასს. ამავე სატრაქტორო ინვენტარის წარმოებაში. სატრაქტორო გუთნები 1930 წელს დამზადებული იყო — 25.000, ხოლო 1933 წელს—67.000. მათ შორის: მარცვლეულის გუთნები დამზადებული იყო 25 ათასი, ხოლო ახლა 53. ათასი. ხორბლეულის გუთნებს 1930 წელს ჩვენ არ ვამზადებდით, ხოლო 1933 წელს დავამზადეთ 10.573, სპეციალურ გუთნებს არ ვამზადებთ, ხოლო 1933 წელს დავამზადეთ 2588; 1930 წელს დავამზადეთ 39 ცალი კულტივატორი. ხოლო 1933 წელს — 16.000 და სხვ. სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის მთელი პროდუქცია 1933 წელს უდრიდა 321 მილიონ მანეთს, ხოლო 1933 წელს — 390 მილიონ მანეთს. თითქოს არც თუ ძალიან დიდი ზრდაა—70 მილიონი მანეთი.

მაგრამ სატრაქტორო ინვენტარი 1930 წელს ამ 321 მილიონი მანეთიდან შეადგენდა 81 მილიონ მანეთს, ხოლო 1933 წელს 390 მილიონი მანეთიდან —320 მილიონ მანეთს.

ამგვარად იცვლებოდა წარმოების მთელი სტრუქტურა.

მეტალურგიული მრეწველობის მოწყობილობას — არც ბლიუმინგებს, არც საგლინავ დაზგებს, არც ბროზიუსის „ზარბაზნებს", არც ჩაიჩებს, არც თუჯ მზიდავებს, არც წიდაკმზიდავებს, არც გაზგენერატორებს ჩვენ 1930 წელს არ ვამზადებდით, ამჟამად ყველა ამას ჩვენ ვამზადებთ და შეგვიძლია დავამზადოთ მთელი მეტალურგიული მოწყობილობა. იჟორსკიმ „ძველმა" ქარხანამ, რომელიც ახლა საფუძვლიანად გადაკეთებულია, უკვე გამოუშვა სამი საუცხოვო ბლიუმინგი, რომელთაგან ორი უკვე დადგმულია და მუშაობს, ხოლო მესამეს ახლა დგამენ ზლატოუსტის ქარხანაში. ამასთან ისინი სრულიადაც არ მუშაობენ საზღვარგარეთულ ბლიუმინგებზე ცუდად.

ჩვენ ვამზადებთ ყველაფერს, რაც კი საჭიროა ნავთის მრეწველობისათვის, [illegible] რაც საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის (გამოტოვებულია) ინჟინერ შუხოვის და კაპელიუშნიკოვის კონსტრუქციისა ჩვენ ვამზადებთ შემჭრელ მანქანებს, კომპრესორებს, ყოველგვარ ჯალამბრებს, ამწე მანქანებს, მაღაროების ელექტრო ავლებს — ყველაფერს, რაც კი საჭიროა სამთამადნო მრეწველობისათვის. ტორფის მრეწველობისათვის საჭირო მანქანებს ჩვენ სრულიად არ ვამზადებდით, ახლა კი მათ ვამზადებთ. ჩვენ ქვეყანაში სრულიად არ მზადდებოდა მოწყობილობა ქიმიური მრეწველობისათვის, ახლა კი მზადდება. და ქიმიური მრეწველობის მეორე ხუთწლედის უდიდეს პროგრამას, რომლის შესრულებაც ჩვენს ქიმიურ მრეწველობას მეორე ადგილზე აყენებს მთელს მსოფლიოში, ჩვენ სავსებით ვანდობთ ჩვენს საბჭოთა მოწყობილობას.

ჩვენ ვამზადებთ 50.000 კილოვატიან ტურბოგენერატორებს და ჩვენი ელექტროქარხნებისათვის საჭირო მთელ მოწყობილობას. ჩვენ ვამზადებთ დიზელებს, ტუმბოებს, კომპრესორებს, ჩვენ ავაშენეთ საკუთარი ოპტიკური მრეწველობა და სხვ.

მაგრამ საკითხი, რომელიც დასვა ამხ. სტალინმა ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობაზე, ისეთი მანქანების წარმოების შესახებ, რომლებიც ამზადებენ მანქანებს. დაზგათმშენებლობის შესახებ — აი ამ საკითხში ჩვენ ახლაც ჩამორჩენილი. ეს პირდაპირ უნდა ითქვას. ჩვენ ავაგეთ დიდძალი ახალი დაზგები, ავაშენეთ დაზგათმშენებლობის და ინსტრუმენტების არც თუ ისე ცუდი ქარხნები. მოვაწყვეთ ისინი, წელს გვაქვს 19.000 დაზგის პროგრამა, ამ დაზგების რიცხვში დაახლოებით 63 ახალი ტიპის დაზგა უნდა აშენდეს 1934 წელს მაგრამ იმისათვის, რომ მოვაწყოთ ჩვენი მომავალი საავტომობილო ქარხნები, რომელთა მშენებლობასაც ჩვენ წელს ვიწყებთ. ამისათვის გვჭირდება დაზგების უდიდესი რაოდენობა. ჩვენ რომ გვეფიქრა ამ მშენებლობის წარმოება საიმპორტო დაზგებით, ეს ჩვენ დაგვიჯდებოდა რამდენიმე მილიონი ოქროს მანეთი. სასაცილო იქნებოდა. პირდაპირ სამარცხვინო იქნებოდა ჩვენი მრეწველობისათვის. რომ იგი ახლავე, დღეს არ შესდგომოდა იმას, რომ ჩვენი მომავალი საავტომობილო ქარხნების დიდი უმრავლესობა მოეწყო საბჭოთა კავშირში დამზადებული დაზგებით (ტაში).

ამასთან ჩვენ უნდა ავაგოთ რამდენიმე დაზგათმშენებელი ქარხანა და დამატებით მოვაწყოთ ის დაზგათმშენებელი ქარხნები, რომლებიც ახლა მოგვეპოვება. გამოვიყენოთ სამხედრო მრეწველობის ქარხნები და, ამგვარად, მოვამზადოთ დაზგების დიდძალი რაოდენობა, რაც ჩვენ ესაჭიროება.

ჩვენ უკვე დღეიდანვე უნდა ავიღოთ სწრაფი ტემპები 1937 წლისათვის.

1934 წლის პროგრამა გულისხმობს 19.000 დაზგის, ახალი და უახლესი მარკის დაზგის გამოშვებას. 1937 წელს ჩვენმა მრეწველობამ უნდა მოგვცეს 40—50 ათასი დაზგა (ტაში). უამისოდ ჩვენ ვერ შევძლებთ საავტომობილო ქარხნების მოწყობას. უამისოდ ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის საჭიროების დაკმაყოფილებას, უამისოდ მთლიანად ვერ იქნება შესრულებული ამხ. სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ „თუ გინდათ გქონდეთ ინდუსტრიალური ქვეყანა, თუ გინდათ, რომ იგი არ იყოს კაპიტალისტური ქვეყნების დამატება, შესძლოთ აშენოთ არა მარტო ავტომობილები და ტრაქტორები, არამედ ის დაზგებიც, რომლებიც ქმნიან ამ მანქანას (ტაში).

ჩვენ უნდა ვიკისროთ ეს ვალდებულება, უნდა შევასრულოთ იგი რადაც არ უნდა დაგვიჯდეს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამას შევასრულებთ (ტაში).

ჩვენ დიდძალი ფული დავხარჯეთ იმპორტზე. როგორ უნდა მოვიქცეთ ახლა? კვლავ მივმართოთ იმპორტს, თუ გავანთავისუფლებთ ჩვენს ქვეყანას საიმპორტო დამოკიდებულებისაგან? ტრაქტორები ჩვენ უკვე არ შემოგვაქვს. ეს ცნობილია. ამხ. ბრუსკინი—ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის დირექტორი—იღიმება. მან დიდი შრომა, დიდი ენერგია დახარჯა ამისათვის, რომ შეგვეწყვიტა ეს იმპორტი, მაგრამ მას ჯერ კიდევ დიდი შრომის, დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდება იმისათვის, რომ მთელი მისი მოწყობილობა გამოყენებულ იქნას მოხერხებულად და რაციონალურად. მაგრამ დღეს ამ მოწინავე ქარხნებშიაც, კერძოდ—ამხ. ბრუსკინთან ხარკოვის ქარხანაში, ამხ. ტრეგუბენკოსთან სტალინგრადის ქარხანაში, ამხ. ლიხაჩოვთან მოსკოვის საავტომობილო ქარხანაში, ამხ. დიაკონოვთან გორკის ქარხანაში—სამუშაო დროს სრულიადაც ვერ იყენებენ მთლიანად. ჩვენი ქვეყანა—ერთად-ერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც შემოღებულია 7 საათის სამუშაო დღე. 7 საათიან სამუშაო დღეზე არც ერთ მუშას, არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ოცნებობაც კი არ შეუძლია კაპიტალიზმის პირობებში.

ხოლო ჩვენს ქვეყანაში, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში გვაქვს 7 საათიანი სამუშაო დღე, მაგრამ განა მუშაობენ ჩვენი მუშები 7 საათს ჩვენს ქარხნებში? არა. 5 საათსაც არ მუშაობენ, ხოლო აქაც თუ მუშაობენ 5 და 5 ნახევარ საათს იწყებენ ტრაბახს: აი, ჩვენ ვმუშაობთ 5 საათს, ხოლო სხვაგან 1 საათს მუშაობენო. თქვენ, მეგობრებო, უარესებს უტოლდებით. როცა მე დავაყენე ამხ. ბრუსკინის წინაშე საკითხი (მასთანაც 5 საათს მუშაობენ).

ბრუსკინი: არა, მეტს მუშაობენ.

ორჯონიკიძე: რამდენით მეტს?

ბრუსკინი: დაახლოებით ექვსამდე.

ორჯონიკიძე: არა, ექვს არ მუშაობენ. (სიცილი).

და როცა მე მას დავუსვი ეს საკითხი, მან მისთვის ჩვეული სიფრთხილით, როგორც კარგმა ბოლშევიკმა, მიპასუხა: ეს სწორია, და მე მივაღწევ ამ წლის მანძილზე, რათა იმუშაონ მთელი დროის განმავლობაში, როგორც დაწესებულია, მთელი 7 საათის განმავლობაში. როცა ის ჩამოვიდა ყრილობაზე, მან თქვა, რომ მეორე კვარტალის დასაწყისში ის ამას მიაღწევს. თუ ის ამას მიაღწევს, რატომ არ უნდა მიაღწიონ ამას ამხ. ტრეგუბენკომ, ლიხაჩოვმა და დიაკონოვმა? სხვათა შორის უკანასკნელთან 5 საათზე ნაკლებს მუშაობენ.

საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნების საპროექტო ძალოვანება, რომელსაც ჩვენ გადავაჭარბეთ, ნაანგარიშევია 7 საათის მუშაობისათვის, ხოლო მუშაობენ 5 საათს და მაინც გადააჭარბეს. ან ეს საპროექტო ძალოვანება არაფრით არ ვარგა, ან რაიმე სასწაული ხდება. მაგრამ სასწაული არ ხდება. საქმე იმაშია, რომ ჩვენი საპროექტო ძალოვნებანი შემცირებულად არის აღებული, ნაანგარიშევია 1928—29 წლებში და ამასთან შემდეგი ვარაუდით: მაგალითად, ამერიკელ მუშას შეუძლია გააკეთოს 4 მანეთის, რუსმა მუშამ იმავე დროის განმავლობაში გააკეთოს, 1 მანეთისას, ე. ი. რუსი და ამერიკელი მუშის შრომის ნაყოფიერება ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც ოთხი ერთს.

მაგრამ თვითონ თქვენ განსაჯეთ, რატომ ამერიკელმა მუშამ „ჯენერალ მოტორსში" უნდა იმუშაოს უკეთ, ვინემ ჩვენმა მუშებმა თავის ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის დროს? მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ პირდაპირ, ბოლშევიკურად დავსვამთ ამ საკითხს მუშების წინაშე, ჩვენი მუშები თავისთვის, თავის სახელმწიფოსათვის იმუშავებენ გაცილებით უკეთ, ვინემ საზღვარ-გარეთ მუშაობენ მუშები კაპიტალისტებისათვის (ტაში, ხმები: „სწორია"). მაგრამ ამისათვის საჭიროა სწორედ ის, რაზედაც ლაპარაკობდა ამხ. სტალინი: ორგანიზებულობა. საქმე იმაში კი არ არის, რომ ჩვენს მუშებს არ უნდათ მუშაობა. საქმე იმაში კი არ არის, რომ ჩვენს დირექტორებს და ინჟინრებს არ უნდათ მუშაობა. არაფერი ამის მსგავსი. უდიდესი კადრები, რომლებიც ჩვენ გამოვზარდეთ, ენთუზიასტები არიან, მათ სურთ მუშაობა, მაგრამ ჩვენ არ შეგვწევს [illegible] უნარი. ამხ. ბრუსკინებს შეუძლიათ. აქვთ უნარი დარაზმონ და ჩვენ უნდა მოვთხოვოთ ეს მათ. მათ შეუძლიათ და შესწევთ უნარი და მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ამას გააკეთებენ. ორგანიზებულობა ჩვენში კიდევ ნაკლებია, ძალიან ხშირად მუშა დროს კარგავს ქარხანაში გაცვლა-გამოცვლაში, ის უნდა გაიქცეს ინსტრუმენტისათვის, მასალისათვის, ნახაზებისათვის და სხვ., დრო კი იკარგება.

ამას წინათ ჩვენმა სამმა დირექტორმა „პრავდას" სადისკუსიო ფურცელში დაწერეს წერილი და დაიტრაბახეს, რომ ზოგიერთი დეტალების მიხედვით მათ გაუსწრეს „ჯენერალ მოტორსს" და ამზადებენ გაცილებით უფრო იაფს, ვინემ ის. ეს არ არის სწორი და უკეთესი იყო ამხ. დიაკონოვს და ლიხაჩოვს არ მოეწერათ ხელი ამ წერილის ქვეშ.

თქვენ უხეიროდ როდი მუშაობთ. ამ ხნის განმავლობაში უდიდესი წარმატებები გაქვთ. ამ წარმატებებისათვის პარტიამ თქვენ შეგაქოთ და დაგაჯილდოვათ, მაგრამ იცოდეთ, ნუ გაამპარტავნდებით, რომ არ შეიქმნას ცრუწარმოდგენა, თითქოს ყველაფერი მიღწეულია. ეს არ არის მართალი. ყველაფერი არ არის მიღწეული, თუ შვიდი საათის ნაცვლად ხუთ-ხუთ ნახევარ საათს მუშაობთ.

მე ავიღე ავტოსატრაქტორო მრეწველობის საუკეთესო ქარხნები. ეს მოწინავე ქარხნებია, მათ თვითღირებულება შეამცირეს, იქ შრომასაც გაცილებით უკეთესად იყენებენ. მაგრამ ამ მოწინავე ქარხნებშიაც კი ადგილი აქვს ასეთ ნაკლოვანებებს, რაღა შეიძლება ითქვას ჩვენს სხვა ქარხნებზე? იქ საქმე გაცილებით უარესადაა. ადამიანთა მართებული განაწილება, სამუშაო ადგილის მართებული ორგანიზაცია ჩვენ უდიდეს შესაძლებლობებს გვაძლევენ პროდუქციის კიდევ უფრო გასადიდებლად. ვფიქრობ, რომ ჩვენი სატრაქტორო ქარხნების, როგორც სტალინგრადის, ისე ხარკოვის ქარხნის, ნამდვილი წლიური სიმძლავრე 40 ათასი ტრაქტორი კი არ არის, არამედ საგრძნობლად უფრო მეტია. მე უკვე არ ვლაპარაკობ სტალინის სახელობის ქარხანაზე, მოლოტოვის სახელობის ქარხანაზე (ქ. გორკი). ამხ. ლიხაჩოვი იძლევა 20 ათას ავტომობილს, არც თუ ცუდად იძლევა, ქარხანა რიგიანად უძლევა. მაგრამ ჩემი უღრმესი რწმენით, ქარხანას გაცილებით მეტი საწარმოო სიძლიერე გააჩნია, რომ მას შეუძლია მოგვცეს 25—27 ათასი, ხოლო ზოგიერთი ვიწრო ადგილის დაძლევის პირობებში, სტალინის ქარხანას შეუძლია მოგვცეს 30 ათასი ავტომობილი და კიდევ უფრო მეტიც.

ხოლო როგორ მუშაობს გორკის ქარხანა? იგი ფიქრობს, რომ კარგად მუშაობს. იგი იძლევა 140 მანქანას დღეში, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ კომბაინებისათვის მოტორების გამოშვებას და სათადარიგო ნაწილებს, მაშინ იგი იძლევა ორასამდე მანქანას დღეში. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ამ ქარხანაში მუშაობა ჯეროვნად მოეწყობა, მას შეუძლია საგრძნობლად მეტის მოცემა, ვიდრე გეგმით იძლევა.

ასევე ითქმის ყველა ქარხნის შესახებ. ამ წლების განმავლობაში ჩვენ უდიდესი სიმძლავრეები დავაგროვეთ. მაგ, როგორც ამხ. სტალინი მიგვითითებს, ხეირიანად და რაციონალურად გამოვიყენოთ ეს დაგროვილი სიმძლავრეები.

ვუბრუნდები საიმპორტო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების საკითხს.

თუ ჩვენს სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობას ავიღებთ, მაშინ ასეთი სურათი იხატება: 1930 წელს ჩვენ შემოვიტანეთ 365 მილიონი მანეთის, ხოლო ჩვენი ქარხნებისგან მივიღეთ 3.169 მილიონი მანეთის, 1931 წელს იმპორტი შეადგენდა 410 მილიონ მანეთს, ხოლო საბჭოთა წარმოება — 4.590 მილიონ მანეთს, 1932 წელს იმპორტი უდრიდა 340 მილიონ მანეთს, ხოლო საბჭოთა წარმოება — 5.816 მილიონ მანეთს, 1933 წელს კი იმპორტი — 155 მილიონ მანეთს, ხოლო საბჭოთა წარმოება 6.297 მილიონ მანეთს მხურვალე ტაში).

ამგვარად, საკუთარი მრეწველობა, რომ შეექმნა ჩვენი ქვეყანა არავითარ ხარჯს არ მორიდებია და მან დიდ იმპორტს მიმართა. მაგრამ უკვე 1933 წელს იმპორტი შეადგენს 155 მილიონ მანეთს, ხოლო ჩვენი წარმოება იძლევა — 6,2 მილიარდ მანეთს, რაც შეეხება მიმდინარე 1934 წელს, ჩვენ მიერ ჯერჯერობით დასახული იმპორტი უდრის სულ რამოდენიმე მილიონ მანეთს.

საბჭოთა მანქანათმშენებლობამ 1934 წელს უნდა მოგვცეს არა ნაკლებ ათი მილიარდი მანეთისა (მხურვალე ტაში). ცალკე ნაწარმოებთა მიხედვით საიმპორტო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება მიმდინარეობდა შემდეგნაირად. ისეთ რამეებს, როგორიც არის ბურთობსაკისურები, ჩვენ წინად არ ვამზადებდით. ჩვენ ამ წლების განმავლობაში ავაგეთ კაგანოვიჩის სახელობის ბურთობსაკისურების უდიდესი ქარხანა, შესანიშნავი ვეებერთელა ქარხანა, შესანიშნავი ვეებერთელა ქარხანა კი არა, სასახლეა, მოკაზმული შესანიშნავი დაზგებით. მაგრამ ჯერ მისი სრულ ათვისებისაგან შორს ვართ. წარმატებები გვაქვს. გასული წლის განმავლობაში მან უკვე გამოისყიდა საიმპორტო მოწყობილობა მან მოგვცა იმდენი ბურთსაკისური, რომ მათი ღირებულება აღემატება მისთვის უცხოეთიდან შემოზიდული მოწყობილობის ღირებულებას. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად ამ ქარხანას შეუძლია და უნდა მოგვცეს გაცილებით უფრო მეტი. გასულ წელს მან მოგვცა 6,6 მილიონი ცალი, ხოლო წელს მისი პროგრამაა 16 მილიონი ცალი.

ბურთობსაკისურების ქარხნის მუშაობის გაშლის საფუძველზე ჩვენ საკუთარი წარმოებით უზრუნველვყავით ბურთობ - საკისურების მოთხოვნილება ტრაქტორებისათვის, ავტომობილებისა და ავიაციისათვის. შინაური წარმოება 1930 წელს იყო 357 ათასი, ხოლო შემოგვქონდა 2.800.000 ცალი—13 მილიონი მანეთის. 1931 წელს ჩვენ თითონ დავამზადეთ 400 ათასი ცალი, ხოლო შემოვიტანეთ 6 მილიონი ცალი — 21 მილიონი მანეთის. 1932 წელს ჩვენ დავამზადეთ 1.700 ათასი ცალი, ხოლო შემოვიტანეთ — 8.200 ათასი ცალი—20 მილიონი მანეთის.

1933 წელს ჩვენ თითონ დავამზადეთ 6.600 ათასი ცალი და შემოვიტანეთ 4.200 ათასი ცალი.—10 მილიონი მანეთის. წელს ჩვენ დავამზადებთ 17 მილიონს, ხოლო იმპორტი დაყვანილია რამდენიმე მილიონამდე.

თუ კარგად იმუშავებენ ბურთოსაკისურების ქარხნები, მათ შეუძლიათ სრულიად მოხსნან ეს იმპორტი.

ავიღოთ მაგნეტო. მათ ამზადებს ელექტროქარხანა მოსკოვში. ეს წარმოადგენს მოტორის გულს, უამისოდ მანქანა არ არსებობს 1930 წელს მაგნეტოს იმპორტი შეადგენდა 4 ათას ცალს და ჩვენი წარმოება კი ჩვენ არ გვქონდა. 1931 წელს იმპორტი შეადგენდა 22 ათას ცალს, ხოლო ჩვენი წარმოება ჩვენ არ გვქონდა. 1932 წელს იმპორტი შეადგენდა 46 ათას ცალს და ჩვენ უკვე დავამზადეთ 28,000 ცალი. 1933 წელს იმპორტი შეადგენდა 54 ათას ცალს და ჩვენ უკვე დავამზადეთ 101 ათასი ცალი. 1934 წლის გეგმა იმპორტს განსაზღვრავს რამდენიმე ათასი ცალით, ხოლო საბჭოთა წარმოება განსაზღვრულია 202 ათასი ცალით (ტაში). მეორე კვარტალის შემდეგ მაგნეტოს იმპორტი სავსებით შეწყდება.

ამრიგად, ამხანაგებო, ვაგებდით რა ჩვენს მრეწველობას და ვქმნიდით რა საკუთარ მანქანათმშენებლობას, ჩვენ თანდათანობით ვთავისუფლდებოდით საიმპორტო დამოკიდებულებისაგან. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვინდა ავაგოთ სახელმწიფო, გარშემორტყმული ჩინური კედლით, რომ ჩვენ არაფრით არ ვივაჭრებთ. არაფერს არ ვიყიდით, მაგრამ ჩვენ ვამჯობინებთ ველაპარაკოთ ჩვენს პარტნიორებს, როგორც ძალა. ვაჭრობის საქმე—ეს არის მოგებისა და წაგების საქმე. სარგებლიანობის საქმე, ხოლო მთელი სარგებლიანობის მიღება საგარეო ვაჭრობიდან შეიძლება მაშინ, როცა შენ ძლიერი და დამოუკიდებელი ხარ.

ამ წლების განმავლობაში ჩვენ განვამტკიცეთ საკუთარი დამოუკიდებლობა და შევქმენით ჩვენთვის საჭირო ყველა წარმოება. ძირფესვიანად გარდავქმენით ჩვენი მანქანათმშენებლობის მუშაობა. ახალი მანქანები და ახალი მოწყობილობა მანქანათმშენებლობის მთელს პროდუქციაში შეადგენენ 78 პროც.

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდა ვლადიმერ ილიჩი ელექტროფიკაციას; როგორ მოეწყო ეს საქმე ჩვენში? თუ ავიღებთ 1933 წელს და შევადარებთ მიმდინარე წელთან, ასეთ სურათს მივიღებთ:

1930 წელს რაიონულ სადგურებში, დიდი სამრეწველო სადგურების ჩათვლით, ჩვენ გვქონდა 937.000 კილოვატი დადგმული სიმძლავრე; 1934 წლის პირველი იანვრისათვის გვაქვს 3.666.000 კილოვატი დადგმული სიმძლავრე.

თუ რაიონების მიხედვით ავიღებთ, დავინახავთ შემდეგს: პარტიის მე-16 ყრილობამ დაადგინა, რომ ელექტროენერგიის ნაკლებობას ისეთ რაიონებში, როგორიცაა უკრაინა, ურალი და სხვ., ბოლო მოეღებოდა. როგორაა ეს საქმე ახლა შესრულებული? თუ ავიღებთ ურალის ოლქს, 1930 წელს იქ რაიონულ სადგურებში გვქონდა 34.000 კილოვატი დადგმული სიმძლავრე, ხოლო დღეს გვაქვს 400.000 კილოვატი დადგმული სიმძლავრე.

იყო 34.000, ხოლო სამნახევარი წლის განმავლობაში გახდა 400.000.

უკრაინას რაიონულ სადგურებში 1930 წელს ჰქონდა 225.000 კილოვატი დადგმული სიმძლავრე, ხოლო 1934 წლის პირველი იანვრისათვის აქვს 1.138.000 კილოვატი.

უკრაინელები ყოველთვის ამბობენ: „ელექტროენერგია ცოტა გვაქვსო" (ხმები უკრაინის დელეგაციის მხრიდან: ცოტაა, ცოტა, კიდევ ცოტაა"). რამდენადაც თქვენ გადაწყვიტეთ კიევი ახალ საბჭოთა დედაქალაქად გადაგექციათ, მოგვიხდება ელექტროსადგურის აგება. მეტი გზა არ არის (სიცილი. ტაში. ხმა: [illegible]).

რუსეთის ს.ს.ფ.ს. რესპუბლიკაში ჩვენ გვქონდა 674 ათასი კილოვატი დადგმული სიმძლავრე, ახლა კი გვაქვს 2.288 ათასი.

ყირიმის რესპუბლიკაში ჩვენ არც ერთი კილოვატი არ გვქონია, ახლა რაიონულ სადგურებში გვაქვს 10.500 ათასი კილოვატი.

ამიერ-კავკასიაში გვქონდა 114 ათასი, ახლა კი გვაქვს 206 ათასი კილოვატი.

ბელორუსიაში ჩვენ არ გვქონდა არც ერთი კილოვატი დადგმული სიმძლავრე, ახლა გვაქვს 20 ათასი კილოვატი.

უზბეკისტანის რესპუბლიკაში არც ერთი კილოვატი არ გვქონია, ახლა კი რაიონულ სადგურებში გვაქვს 30 ათასი კილოვატი.

ასე ვითარდებოდა ჩვენი ელექტრომომარაგება ამ სამნახევარი წლის განმავლობაში.

ამხ. ეიხე: დასავლეთ ციმბირისათვის ცოტაა.

ამხ. ორჯონიკიძე: დასავლეთ ციმბირისათვის ცოტაა? დასავლეთ ციმბირს 1930 წელს, ამხ. ეიხევ, ჰქონდა ნოლი, ხოლო ახლა აქვს 71.500 კილოვატი დადგმული სიმძლავრე.

ამხ. ეიხე: ეს ცოტაა.

ამხ ორჯონიკიძე: მე არ ვამბობ, რომ ეს 100 ათასია, მაგრამ გქონდათ ნოლი ხოლო მიიღეთ 71.500 (სიცილი).

აი, რა მდგომარეობაშია საქმე ელექტრომომარაგების მხრივ.

1931 წელს ამხ. სტალინმა დიდი ყურადღება მიაქცია თბოფიკაციას, რომელსაც მანამდე არ ცნობდნენ. და დასვა კითხვა: რამდენად უნდა ვათბოთ ჩვენი სამრეწველო და საცხოვრებელი შენობები ისე, რომ საჭირო იყოს დიდძალი შეშის, ქვანახშირის და სხვათა ზიდვა.

რატომ არ უნდა წავიდეთ თბოფიკაციის ხაზით? რა არის გაკეთებული ამ დარგში? 1931 წლის ივნისის პლენუმამდე, სადაც ეს საკითხი წყდებოდა. ჩვენ გვქონდა თბოფიკაციის სიმძლავრის 200.000 კილოვატი. 1931 წლის ივლისიდან 1934 წლამდე საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა ახალი სიმძლავრის 400.000 კილოვატი. უმთავრესად მსხვილ სამრეწველო სადგურებზე.

უახლოესი ერთი-ორი წლის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაიცემა სათბოფიკაციო სიმძლავრის დაახლოებით 400 ათასი კილოვატი.

სათბობის საკითხები. ქვანახშირის შესახებ მე დაწვრილებით არ ვილაპარაკებ იმიტომ, რომ ცენტრალური კომიტეტის უდიდესი მეცადინეობის და ამხ. სტალინის უდიდესი დახმარების შეოხებით ახლა ჩვენ ამ დარგში საკმაოდ კარგი მიღწევები გვაქვს მაშინ. როცა ეს საკითხი იყო დასმული, ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით, რომ ქვანახშირის ნაკლებობა შეფერხებას უქადდა ჩვენს შემდგომ განვითარებას. ეს იყო გასული წლის ზამთარში, როცა ჩვენ ვღებულობდით ქვანახშირს უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე წინა წელს. ამჟამად ჩვენ ამ დარგში უსათუოდ მივაღწიეთ გაუმჯობესებას. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ კვლავ დავუშვებდით უარესად დიდ შეცდომას, თუ ვიფიქრებდით, რომ დონბასში, კუზბასში და ქვანახშირის სხვა რაიონებში ყველაფერი ისეა, როგორც საჭიროა. ნუ დავივიწყებთ, რომ შრომის ნაყოფიერება ქვანახშირის მთით მრეწველობაში, კერძოდ დონბასში, უფრო დაბალია, ვიდრე 1929 წელს. ამ საქმეს სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ [illegible].

აქ ამხ. სარქისი სრულიად მართალი იყო — მექანიზმები ჩვენ ახლა ძალიან ბევრი გვაქვს, ვამზადებთ ჩვენ მათ იმდენს, რამდენიც საჭიროა, მაგრამ ამ მექანიზმებისადმი მოპყრობა და მათი გამოყენება ჯერ კიდევ ბარბაროსულია. ამხ. სარქისი ამბობდა, რომ დონბასის ხაზით მოგვცემთ ჩვენს ქვეყანას 60 მილიონ ტონა ქვანახშირს.

ხმები ადგილებიდან: მინიმალურია.

ორჯონიკიძე: მე ვფიქრობ, რომ დონბასი ამას გაართმევს თავს განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე. 60 მილიონი ტონა დონბასისათვის - ეს არც თუ ისე ძალიან დიდი პროგრამაა. იგი, მართალია, არ არის ცოტა და სახუმრო, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ძალიან დაძაბული იყოს. ასე რომ დონბასმა, დონბასელებმა ეს პროგრამა უნდა შეასრულონ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მას შეასრულებენ.

აბსოლუტურად სწორია ამხ. სტალინის მითითება ეგრეთწოდებული ადგილობრივი სათბობი ბაზისების გამოყენების შესახებ. უამისოდ ჩვენ თავის თავსაც [illegible], ჩვენს ტრანსპორტსაც და მთელ სახალხო მეურნეობას. [illegible] ქვანახშირი დონბასიდან [illegible]. [illegible] ქვანახშირის ამოღება, [illegible] რომ უნდა განვავითაროთ [illegible] ქვანახშირის ამოღება [illegible] ამიერ-კავკასიის, შუა-აზიის ყველა რაიონში, რომ არ ვილაპარაკოთ კარაგანდაზე, რომელიც გადაქცეული უნდა იქნეს ქვანახშირის მძლავრ ბაზისად.

სავსებით სწორია ამხ. სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ კუზბასი უნდა გადავაქციოთ მეორე დონბასად. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს ამ მითითების რეალიზაციისათვის. იმისათვის, რომ ნახონ კარგი მუშაობა, კარგი მექანიზაციის ნიმუში, ჩვენი ქვანახშირის მუშაკები უნდა გაემგზავრონ არა გერმანიაში, არა ამერიკაში, არამედ კუზბასში და იქ ნახონ როგორი არის დაყენებული საქმე.

ნავთი, ამხანაგებო, ჩვენი სახალხო მეურნეობის ძალიან მნიშვნელოვანი დარგია, არა მარტო როგორც სათბობი [illegible] ფაბრიკა-ქარხნებისათვის, [illegible] ტრაქტორებს? [illegible]

ავიღებთ აზნავთს. ის [illegible] წინა წლებთან შედარებით, ცუდად არ მუშაობდა. [illegible] ბაქოელებმა და ამიერ-კავკასიელმა ამხანაგებმა [illegible] პროგრამა და [illegible] 60 ათასი ტონა [illegible] 56 და 57 ათასი ტონა, ხოლო 54—53 ათასი ტონა [illegible] 58 [illegible] 45—49 ათასი [illegible]

ამხ. ბერია ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ნავთის მრეწველობას [illegible] მოწყობილობა [illegible]

ამას ჩვენი სახალხო მეურნეობა [illegible]

რაც შეეხება გროზნოს, [illegible]

გროზნოელები, სანამ შადრევნები [illegible]

ურალი, ემბა და შუა [illegible] ნავთი, [illegible] ამხ. სტალინის მითითებანი [illegible]

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული ამხ. სტალინის [illegible] მოხსენების [illegible] პარტყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის პირველი [illegible] უნდა იკითხებოდეს ასე: „1. [illegible] მოწონებულ იქნეს მთლიანად და სავსებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა".

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვის დასასრული

მეორეება, ისიც უნდა შევასრულოთ, და ჩვენც შევეცდებით შევასრულოთ.

ამხ. სტალინი ამბობს, რომ მეტალურგიაში ჩამორჩენილია როგორც შავი, ისე ფერადი მეტალურგია. ფერადი მეტალურგიის ხაზით ურალში, რიდერში, გაიგზავნა ორი ბრიგადა—ამხ. პიატაკოვის ბრიგადა, ამხ. თახტურადოვის ბრიგადა.

მაგრამ რა მივიღეთ ამ ბრიგადებისაგან? ამხანაგები ლაპარაკობენ ფერადი მეტალურგიის ქარხნებსა და საბადოებში არსებულ წარმოუდგენელ უწესრიგობათა შესახებ.

როიზენმანი: მართალია, ადგილი აქვს უწესრიგობას.

ორჯონიკიძე: კითხულობ და პირდაპირ გაოცებაში ეძლევი; როგორ შეიძლება ამ დაოდეს ჩაიდინოს ასეთი რამეები, ვერაფერი დაინახო. ფული ხარჯონ და შედეგები არ მოგვცენ.

მე ვფიქრობ, რომ ამ საქმის ჩვენ თავს გავართმევთ. იქ დადგმულია საუცხოო მოწყობილობა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მხოლოდ მას ბარბაროსულად ეპყრობიან.

შავი მეტალურგია. აქ ჩვენ, უეჭველია, ჩამოვრჩებით. შავი მეტალურგიის თითქმის მთელ პროდუქციას 1930 წელს ძველი ქარხნები იძლეოდნენ. შავი მეტალურგიის მთელი პროდუქციიდან, რომელიც 193 წელს 1 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ძველ ქარხნებზე მოდიოდა 96 მილიონი მანეთი. მაშინ ახალი და რეკონსტრუირებული ქარხნები ჯერ კიდევ არაფერს იძლეოდნენ. ამჟამად ჩვენ გვაქვს მილიონ ნახევარზე მეტი მანეთის პროდუქცია, აქედან ძველი ქარხნები იძლევიან მხოლოდ 384 მილიონი მანეთის პროდუქციას, ხოლო დანარჩენები —1.171.000.000 მანეთისას — ეს არის ახალი და რეკონსტრუირებული ქარხნების პროდუქცია.

უდიდესი თანხებია დაბანდებული შავ მეტალურგიაში, იქ შექმნილია დიდი ტექნიკური სიმძლავრე. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ავაშენეთ და ვისწავლეთ დიდი ბრძმედების, მარტენების, ბლიუმინგების შენება. ახლა 1934 წლის პირველ იანვრისათვის ჩვენ გვაქვს ბრძმედების მოცულობა დაახლოებით 42.000 კუბ. მეტრის ოდენობით და ეს იმ დროს, როცა 1930 წელს გვქონდა 24.000 კუბომეტრი. ეს უდიდესი სიმძლავრეა. დღეს მეტალურგია იძლევა 24.000 ტონა თუჯს, ხოლო ორჯერ მან მოგვცა 25.000 ათასი ტონა დღე-ღამეში. გასულ წელს, გეგმით გათვალისწინებულ 9 მილიონი ტონის ნაცვლად, ჩვენ გამოვუშვით მხოლოდ 7.133.000 ტონა. მიმდინარე წლის პროგრამა ასეთია: თუჯის—10 მილიონი, ტკეცილი ლითონის — 7 მილიონი, ფოლადის — 9,8 მილიონი ტონა. შეგვიძლია თუ არა ჩვენ ამ პროგრამის შესრულება? კარგი მუშაობის დროს შეგვიძლია გადაჭარბებითაც შესრულება. ამისათვის ჩვენ მოგვეპოვება საკმაო ტექნიკური შესაძლებლობანი. მე ვიღებ ამერიკის და გერმანიის ქარხნების ბრძმედების სასარგებლო მოცულობის გამოყენების კოეფიციენტს და ვიღებ სტალინის ქარხანას — დონბასი. არავითარი მექანიზაცია ქარხანაში არ არის. მადანი, კოქსი და ფლიუსი ბრძმედებთან მოაქვთ საგორებლებით. ამ მხრივ ეს არის მამაპაპური ქარხანა. და მიუხედავად ამისა, ამ ქარხანამ გასული წლის მეორე თვის განმავლობაში მოგვცა მუშაობის არც თუ ისე ცუდი ნიმუშები. ამ ქარხანაში ბრძმედების სასარგებლო მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი, 1,22 უდრის. ეს იმ დროს, როცა მთელს მეტალურგიაში, საშუალო კოეფიციენტი წლის განმავლობაში შეადგენს 1.06 თუ ჩვენ შევიძლებთ მოვაგვაროთ საქმე სხვა მეტალურგიულ ქარხნებში ისე, როგორც სტალინის ქარხანაში, მაშინ, იმ სიმძლავრის მიხედვით, რომელიც ახლა მოგვეპოვება, დღეღამეში მივიღებთ დაახლოებით 33—35 ათას ტონა ლითონს. რაშია აქ საქმე? რაში მდგომარეობს სტალინის ქარხნის წარმატებების საიდუმლოება? მექანიზაცია მას არა აქვს. მაშასადამე ამ მხრივ, თუ შევადარებთ, მაგალითად, მაკეევკის ქარხანას, მას მინუსი აქვს. მადანი ერთი და იგივეა. კოქსიც ერთი და იგივე. სხვათაშორის, კოქსი სტალინის ქარხანაში ძალიან ბევრი იხარჯება და რომ კიდევ არ დავუბრუნდე ამ საკითხს, ვიტყვი, რომ ტეხნიკის მხრივაც იქ არ არის ძალიან კარგი მდგომარეობა. — ფლიუსებიც ერთი და იგივეა. ერთი სიტყვით, სტალინის ქარხანას არაფერი განსაკუთრებული რამ არ ანსხვავებს; დონბასის სხვა ქარხნებისაგან. რატომაა, რომ ბრძმედების გამოყენების კოეფიციენტი იქ 1,22 უდრის, ხოლო სხვა ქარხნებში კი—1, 41, 1, 67, 150? აშკარაა, რომ აქ საქმე მხოლოდ ადამიანებშია.

მე ვიცნობ ტექნიკურ პერსონალს რომელიც ყავს ამხ. მაკაროვს ქარხანაში მას კარგი ინჟენერები ყავს. ნემცევი (ამჟამად ვოროშილოვის სახელობის ქარხნის ტექნიკური დირექტორი), რომელიც მასთან სპეციალურად მუშაობდა ბრძმედებზე. ცუდი ინჟენერი არ არის. მაგრამ ასეთი ინჟენრები ჩვენ ბევრი გვყავს. რომ ავიღოთ მისი ტექნიკური დირექტორი კოტინი, — არ არის ცუდი მუშაკი, მაგრამ ასეთი ტექნიკური დირექტორები ჩვენ ბევრი გვყავს. გვყავს უკეთესებიც. მაგრამ რატომ შეიძლება მაინც ამხ. მაკაროვმა მოახერხა ამ საქმის კარგად დაყენება? მისი მაგარი ხელის წყალობით. ამხ. მაკაროვმა დაამყარა ღუმელების მომსახურების მკაცრი რეჟიმი („შიხტა. ჩაბერვა და სხვ.) ხოლო ეს მთავარია. სხვათაშორის. აქ არაფერი სიბრძნე არ არის საჭირო მაგრამ საჭიროა ყოველდღე ამის ცოდნა, მოწესრიგება და მოვლა. როცა იგვიანებს სადღეღამისო ცნობა სტალინის ქარხნიდან, მე ყოველთვის ვლაპარაკობ — არა უშავს, მაკაროვი მოგვცემს. როცა მისი ციფრები გამოდნობის შესახებ იგვიანებს თამამადაც ვლაპარაკობ, — არა უშავს გასწორდება, ამხ. მაკაროვი შესძლებს გამოასწოროს. აი, დანარჩენი მეტალურგიული ქარხნები უნდა გასწორდებოდნენ სტალინის ქარხანას.

ამხ. პუჩკოვმა (ენაკიევის ქარხანა), რომელიც აქ ესწრება, ამხ. მაკარენკომ,—„ძერჟინსკა", რომელიც აქ ესწრება, ამხ. ივანჩენკომ — „ვოსტოკსტალ" და [illegible] ამხ., რომლებიც აქ ესწრებიან ან იმყოფებიან ამ დარბაზის გარეშე, გეზი უნდა აიღონ სტალინის ქარხანაზე. ამერიკული კოეფიციენტს ჯერ თქვენგან — ძველი ქარხნებიდან ჩვენ არ მოვითხოვთ. არც გერმანულ კოეფიციენტს მოვითხოვთ, ხვალ კი მოგთხოვთ. მაგრამ დღეს ყოველ შემთხვევაში მოგვეცით ისეთივე მუშაობა, როგორსაც იძლევა სტალინის ქარხანა.

აი, პუჩკოვთან — ენაკიევის ქარხანა — საქმე ცუდად არ არის, მაგრამ მაჩვენებლები მას ცუდი აქვს: გამოყენების კოეფიციენტი აქვს 1,30—1,35 და მეტი. იგივეა მაკარენკოსთან ძერჟინსკის ქარხანაში და სხვ. ხოლო რატომ არ შეუძლია ამხ. პუჩკოვს მოაწესრიგოს მუშაობა? მას შესანიშნავი ტექნიკური პერსონალი ყავს ახალგაზრდა კომუნისტ და უპარტიო ინჟენერებისაგან: ამხ. ბუტენკო, იგლინავი, პიატიგორსკი, ბერლინი, რომელიც საუკეთესოდ მართავს ბოსეირს, მარტენის ხელმძღვანელი სოკოლოვი და სხვა საუკეთესო მუშაკები. კარგად მუშაობს ძერჟინსკის ქარხნის ბოსემირი, მაგრამ საჭიროა მათი ორგანიზება.

არის კიდევ ერთი უბედურება მეტალურგებმა 1931-32 წლის საძაგელი მუშაობის შემდეგ, როცა ცოტათი უკეთ დაიწყეს მუშაობა 1933 წელს, გადასწყვიტეს, რომ ამის იქით წასვლა აღარ შეიძლება. ისინი ასე მსჯელობენ: წინად ქარხანაში იძლეოდნენ 1.200-ს ახლა იძლევიან 200 ტონას — რაღა გინდათ მეტი? ხოლო როგორ იყენებ იმ აგრეგატებს, რომლებიც შენ გაქვს? ცუდად იყენებ. ჩვენში არა მარტო სტალინის ქარხანა მუშაობს კარგად. ავიღოთ აზოვსტალის პირველი ბრძმედი. ის იძლევა უკეთეს მაჩვენებლებს, ვინემ სტალინის ქარხანა. მისი ბრძმედის ღუმელის სასარგებლო მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი უდრის 1,19-ს. ავიღოთ ხაძორიჩიის ბრძმედი, ისიც იძლევა —1,17. ავიღოთ მაგნიტოგორსკის მესამე ბრძმედი, ის იძლეოდა საუკეთესო მაჩვენებლებს აგვისტოში — 1,05, სექტემბერში —1,07, ოქტომბერში,—1,02 აი რანაირ მაჩვენებლებს იძლევიან. ახლებო, მიბაძეთ ამ ნიმუშებს.

მეტალურგიაში ჩვენ გვაქვს კარგი მუშაობის ნიმუშები, იქ ჩვენ კარგი მუშაკები გვყავს. ჩვენ უნდა დავაწყოთ მუშაობის ამ მხარეს, რათა გამოვასწოროთ ეს საქმე რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. აქ საქმე სრულიადაც არ არის რაიმე ობიექტიურ მიზეზებში; ვინაიდან მე ვერავითარ განსხვავებას ვერ ვპოულობ მაკეევკის ქარხანასა და სტალინის ქარხანას შორის. თუმცა არის ერთი განსხვავება. ჩვენ არ მოგვიხდენია სტალინის ქარხნის მექანიზაცია, ხოლო მაკეევკის ქარხანა მექანიზებულია. მაკეევკის ქარხანაში დირექტორად მუშაობს ამხ. გვახარია, მან გვიჩვენა მუშაობის კარგი ნიმუშები მშენებლობის დროს, მან გვიჩვენა კარგი მუშაობა იმ მხრივ, რომ წესრიგში მოიყვანა ქარხანა. შემდეგ იგი ავად გახდა და ორ თვეს არ მუშაობდა და ახლა ქარხანა არ იძლევა იმ მაჩვენებლებს, რომლებსაც იგი უნდა იძლეოდეს. მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო კარგად აშენებული ბრძმედი, კარგად აშენებული ქარხანა, ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო სუფთა ეზოები და სუფთა საამქროები, არამედ ჩვენ გვესაჭიროება დიდი პროდუქცია და ეს უნდა მოგვცეს ამხ. გვახარიამ და მისმა მუშაკებმა. მის ბრძმედებს შეუძლიათ გაცილებით უფრო მეტი ლითონის მოცემა, ვიდრე ისინი ახლა იძლევიან. ავიღოთ მაგნიტკა. მაგნიტკა ამ დღეებში საუცხოოდ მუშაობს. გუშინ მან სამ ბრძმედში გამოადნო 3.100 ტონა და ეს საუცხოო მაჩვენებლებია. რატომ არ შეიძლება ამის გაგრძელება დღითი-დღე? რატომ? რადგან ერთხელ მოგვცენ, მაშასადამე, მოიპოვებიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ კარგად მოუარონ ბრძმედს. მაშასადამე, უნდა გამოვიმუშაოთ ისეთი სისტემა, რომ არ იყოს შეფერხება ისე, როგორც ეს ამხ. მაკაროვთან ხდება.

რაშია შავი მეტალურგიის უბედურება? არა იმაში, რომ ჩვენ არა გვაქვს სიმძლავრე და არც იმაში, რომ არ გვყავს ხალხი. ხალხი გამოჩნდა ორი-სამი წლის წინათ ჩვენ სიძნელეებს განვიცდიდით, სრულიად არ გვყავდა ხალხი, ხოლო ახლა გამოჩნდენ ახალი სპეციალისტები. მაგნიტკას ხელმძღვანელობენ ამხ. ზავენიაგინი და კლიმენინი — ორი ჩვენი ახალგაზრდა ინჟენერი და მათთან ერთად მთელი ახალგაზრდობაც, რომელიც იქ მუშაობს. ისინი ებრძვიან და უძლებენ მაგნიტკას 40 გრადუსიან ყინვებში და იძლეოდნენ არც თუ ისე ცუდად. 35 გრად. ყინვის დროს მათ აამუშავეს მეოთხე ბრძმედი, აამუშავეს შეუფერხებლივ. ხოლო მე კი მახსოვს, რომ ფირმა „მაკის" ინჟენერი მარწმუნებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბრძმედის ზამთარში ამუშავება.—თუ რაიმე პოლიტიკური მოსაზრება არა გაქვთ, ამას ნუ ჩაიდენთ,—ამბობდა ინჟენერი ჰეივენსი 1931 წელს,—იმიტომ, რომ იგი დაიღუპება. პირველი ბრძმედის მიმართ იგი წინასწარმეტყველი აღმოჩნდა, ჩვენ იგი დავღუპეთ,, მაგრამ დავღუპეთ ჩვენი ცუდი მუშაობის მეოხებით. ხოლო მეოთხე ბრძმედი 35 გრად. ყინვაში აამუშავეს ჩვენმა ახალგაზრდა ინჟენერებმა და ბრძმედი კარგად მუშაობს. მაშასადამე, უკვე გამოჩნდენ ახალი კადრები, ესაა ჩვენი უდიდესი მონაპოვარი. მაგრამ საჭიროა ამ კადრებს ახლა ვუჩვენოთ მუშაობის სისტემა, საჭიროა, რომ მათ იცოდნენ მუშაობა და ისწავლონ ძველი სპეციალისტებისაგან.

მაგრამ უნდა გითხრათ, ამხანაგო მეტალურგებო, რომ თქვენი ზოგიერთი დახავსებული მეტალურგების წინააღმდეგ დიდი ბრძოლის გარეშე ვერ წავწევთ საქმეს წინ როგორც საჭიროა ისე (ხმა ადგილიდან: სწორია).

სულ ამ რამდენიმე დღის წინათ შავი მეტალურგიის საქმის ერთერთი საკმაოდ მცოდნე ინჟენერი ლუგოვცევი მიკეთებდა მოხსენებას და მიამბობდა ამის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ გავადიდოთ თუჯის წარმოება ძველ ქარხნებში.

მან ამისათვის მე მომთხოვა 166 მილიონი მანეთი. მე ვუპასუხე, რომ ამას არ დავაყოვნებ. ხოლო შემდეგ რით გათავდა ყველაფერი ეს? მით, რომ მოგვცა გამოყენების კოეფიციენტი 1,40. 1,40 ხომ საკმაოდ ცუდი მუშაობის მაჩვენებელია.

სტალინი: რა გვარია ის?

ორჯონიკიძე: — ლუგოვცევი. არ არის ცუდი ინჟენერი. მცოდნე კაცია, მუშაობს, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ადამიანები წარსულით ცხოვრობენ, უკან იყურებიან და არა წინ. აქ დიდი როლი უნდა ითამაშონ ჩვენმა კომუნისტმა დირექტორებმა, ჩვენმა კომუნისტმა ინჟენერებმა, ყველა ჩვენმა ახალგაზრდა ინჟენრებმა. მათ, მოხუცებს რუტინა, ძველი ტრადიციები ჯერ კიდევ ბევრი აქვთ, და ახალგაზრდა სპეციალისტები კი არ უნდა აჰყვნენ ძველების ავტორიტეტს ამ მხრივ. ძველი ინჟენრებისაგან ისწავლეთ ის, რაც მათ იციან ღირსეული, მაგრამ მათ რუტინის, მათი ჩამორჩენილობის გავლენის ქვეშ არავითარ შემთხვევაში არ მოექცეთ. ამ რუტინის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა უნდა ჩავატაროთ და მაშინ, მე დარწმუნებული ვარ, რომ შავი მეტალურგია წელს მოგვცემს ათ მილიონ ტონა თუჯს. ჩვენ ხუთწლიან გეგმას შევასრულებთ.

ქვეყანამ და პარტიამ სულ ყველაფერი გაიღეს ამისათვის. ხშირად ლაპარაკობენ: აი ტრანსპორტი არ გვყოფნის, ორთქლმავლები არ გვყოფნის. გამოვძებნით ამ ორთქლმავლებს, მაგრამ უნდა შეგვეძლოს იმ ორთქლმავლების გამოყენება, რომლებიც გვაქვს.

იმასვე ვიტყვი მარტენების შესახებ. ძალოვანება ჩვენ საკმაოდ დავაგროვეთ. დიდძალი ძალოვანება გვაქვს, მაგრამ ამ ძალოვანებებს ჩვენში ცუდად იყენებენ. მარტენების ღუმელების გამოყენება ყველაზე უკეთესად აქვს დაყენებული ამხ. სტეპანოვს ქარხანა „სერპ ი მოლოტ"-ში. ის კვადრატული მეტრიდან იღებს 4,1 ტონას, სტალინის ქარხნის მარტენის საამქრო 4.6 ტონას. გერმანიაში კი ღებულობენ 5-დან 5,2-დე, ექვს ტონამდეც კი; მაგრამ მითხარით, რით არის ქარხანა „სერპ ი მოლოტ" მთელი თავისი ტექნიკური პერსონალით უფრო კულტურული სხვა ქარხანაზე, რით სჯობს მისი პირობები სხვა ქარხნების პირობებს? ხოლო ამხ. სტეპანოვმა შესძლო საქმის კარგად დაყენება. მიდით, ისწავლეთ ამხ. სტეპანოვთან ამხანაგო მეტალურგებო.

მეტალურგები ჩვენში დიდი მედიდური ხალხია, თუ ვინმე გაუგზავნეთ მათ, იქნება ის სამეურნეო მუშაკი, თუ ინჟენერი, ისინი მაშინვე ეკითხებიან: როგორია თქვენი მეტალურგიული სტაჟი. რა [illegible] ჩვენი დიდი სტაჟი, როდესაც თქვენ თითონ ცუდად მუშაობთ? როცა ჩვენ გავგზავნეთ ამხ. ზავენიაგინი მაგნიტოგორსკის ქარხანაში, კომუნისტი ინჟენერი, მას უკვე იცნობენ როგორც კარგ პარტიულ მუშაკს სამოქალაქო ომის დროს, ვფიქრობდით, რომ მაგნიტოგორსკში მას ღირსეულად მიიღებდნენ. ეკითხებიან მას, — როგორია მეტალურგიული სტაჟი. სტაჟი მას პატარა აქვს, რადგან უმაღლესი სასწავლებელი გვიან დაამთავრა (სიცილი) ხოლო საქმე კი მან კარგად მიჰყავს (ტაში). სხვათაშორის, მეტალურგიული გამოცდილება საკმარისი აქვს. პარტია ხარბად უშვებს ახალგაზრდა კადრებს. აღზრდის ახალ კადრებს. ისინი ჩვენი ახალგაზრდა ინჟენერები არიან მათ უნდა მივხედოთ, მათ უნდა მოვუაროთ მათ უნდა შევუქმნათ ხელსაყრელი პირობები ფაბრიკებში და ქარხნებში, რათა მათ შეეძლოთ იკითხონ, მოიფიქრონ იმუშაონ ადამიანურად. ეს კი ძალიან ხშირად ასე არ ხდება.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ თუ ის ახალგაზრდა ინჟენერია ისიც კომუნისტი, ყველაფერი, რაც კი ის წამოროშავს, უნდა შესრულდეს. არაფერი ამის. ჩვენში არიან რამდენიც გნებავთ კაპრიზიანი ადამიანები. რომლებისაგანაც, შესაძლოა, არაფერიც არ გამოვა. მაგრამ მთლიანად ეს არის ტექნიკური ინტელიგენცია, — მათ, მხარი უნდა დავუჭიროთ უნდა დავეხმაროთ გაიზარდონ, ვასწავლოთ მათ. ვინც ამას შესძლებს წარმატებაც მას ექნება. ქარხანა „სერპ ი მოლოტ"-ში ამხ. სტეპანოვმა შესძლო ძველების და ახლების ისე ორგანიზება, რომ საქმე გაიმარჯვა.

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს. ჩვენში არის გაერთიანება „სპეცსტალი". ავტოსატრაქტორო მრეწველობა ამაყობს თავის გამარჯვებებით; მაგრამ ჩვენ რომ ხარისხოვანი ფოლადი არ გვქონოდა, ავტოსატრაქტორო მრეწველობაც არ გვექნებოდა. იმ ხარისხოვანი ფოლადის ღირებულება, რომელსაც ჩვენ ახლა ვხარჯავთ, განისაზღვრება 400 მილიონზე მეტი მანეთი. საჭირო რომ ყოფილიყო ამ 400 მილიონი მანეთის ფოლადის ყოველწლიურად უცხოეთიდან შემოტანა, ჩვენ კაპიტალისტების კაბალაში ჩავარდებოდით. ხოლო ეს წარმოება მოაწყვეს ჩვენმა ახალგაზრდა სპეციალისტებმა, რომლითაც შესძლეს ძველების მოწვევა ამ საქმის წარსამართავად. ტრესტების მუშაობის ნიმუში, ჩემის აზრით, უნდა წარმოადგენდეს გაერთიანება „სპეცსტალი". რა გააკეთეს მათ? მათ აიყვანეს პროფესორი გრიგოროვიჩი, რომელიც ხარისხოვან ფოლადს, უძველოდ, კარგად იცნობს; აიყვანეს ინჟენერი სუბოტინი — საქარხნო „მგელი", რომელიც საქარხნო საქმეს სათანადოდ იცნობს; აიყვანეს კრუპის 3—4 ინჟენერი, რომელიც იქ იყვნენ ოსტატები საამქროების უფროსთა სახით. და როცა მათ უხდებათ ბრძოლა გარღვევის წინააღმდეგ ამა თუ იმ ქარხანაში, აი ისინი რას აკეთებენ: თავს უყრიან ამ მუშტს ქარხანაში, განმარტავენ, წესრიგში მოყავთ იგი. ამხ. გრიგოროვიჩი ოსტატებს და მუშებს ლექციას წაუკითხავს. ამხ. სობოტინი მივა, გასინჯავს მარტენს ან გლინვას. გერმანელები გულდასმით გამოიკვლევენ მდგომარეობას. შემდეგ ყველაფერს იტყვიან, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს საქმე. და ამას აკეთებს ჩვენი ახალგაზრდა ინჟენერი ტევოსიანი, რომელიც სათავეში უდგას გაერთიანება „სპეცსტალს."

ხარისხოვანი ფოლადის წარმოების ხაზით დიდი მუშაობა შეასრულეს „ვოსტოკ-სტალის" ურალის მეტალურგიულმა ქარხნებმა. ლისვენსკის და ნადეჟდინის ქარხნებმა კარგად აითვისეს ხარისხოვანი ფოლადი.

გლინვის დარგში, „კრასნი ოქტიაბრში" გაიჩვევა კარგი მუშაობის ნიმუშები. ავიღოთ გაცდენის საკითხი, გაცდენები საგლინავ საამქროში აღწევს 7-დან 9 პროცენტამდე, ხოლო ფოლადის ყველა ქარხანაში — 21 პროცენტამდე. გაცდენები, მაგალითად, მარტენების ხაზით ჩვენში შეადგენს 27 პროც., ხოლო გერმანიასა და ამერიკაში — 18 პროც.

აი სად არის ჩვენი უბედურება. საქმე ის კი არ არის, რომ ჩვენ ტექნიკური შესაძლებლობანი არ მოგვეპოვება. არამედ ის, რომ უხეიროდ ვმუშაობთ და ეს მუშაობა უნდა გამოვასწოროთ. კარგი მუშაობის ნიმუშები უკვე გვიჩვენეს ჩვენმა მუშაკებმა, ჩვენმა ქარხნებმა, ყველამ, უნდა მიბაძოს მათ. და მაშინ პროგრამა შესრულებული იქნება.

ამხანაგებო, მრავალი წლის წინათ ნაციონალური რესპუბლიკების წარმომადგენელთა თათბირზე ამხ. სტალინი აყენებდა სამრეწველო კერების, პროლეტარული კერების შექმნის საკითხებს; და თუ თქვენ ახლა შეხედავთ, დაინახავთ, რომ თითქმის ყველა ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია ასეთი სამრეწველო კერები.

თუ თქვენ შეხედავთ როგორ მიმდინარეობს მძიმე მრეწველობის საერთო პროდუქციის განაწილება რაიონებში, როგორია უკანასკნელთა ხვედრითი წონა 1930 და 1933 წლებში,— ასეთ სურათს მივიღებთ: მთელს საბჭოთა კავშირში ამ ხნის მანძილზე პროდუქცია გადიდდა 78 პროც. რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში—87 პროც. უკრაინის ს.ს.რ. რესპუბლიკაში —55,7 პროც ამიერკავკასიის ს.ფს. რესპუბლიკაში 62,3 პროც. ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკაში — 203 პროც. უზბეკისტანში —59 პროც. ხოლო თურქმენისტანში 18 ჯ. რ. თუ ავიღებთ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებს, ასეთსავე სურათს მივიღებთ: რაიონები, რომელთაც თითქმის არავითარი მრეწველობა არ ჰქონდა, ახლა სამრეწველო რაიონებად ხდებიან.

შემდეგ ამხანაგებო, პარტიის მე-16 ყრილობაზე ამხ. სტალინის მიერ და ყრილობის გადაწყვეტილებით დასმულ იქნა ურალ-კუზბასის პრობლემა. ამხ. სტალინმა მოხსენებაში სთქვა, რომ ოცნებიდან ეს რეალობად გადაიქცა ეს რეალობა შემდეგ ციფრებში გამოიხატება: 21 მილიარდი მანეთიდან, რაც სამნახევარი წლის მანძილზე კაპიტალური მშენებლობის ხაზით მძიმე მრეწველობაში იქნა დაბანდებული, 5 მილიარდი მანეთი დავაბანდეთ ურალ-კუზბასში. 5 მილიარდი მანეთი! [illegible] კი ამბობენ — ეს ცოტაა.

ქვანახშირი: 1930 წელს ამოვიღეთ 6 მილიონი ტონა, ხოლო 1933 წელს —უკვე 14.7 მილიონი ტონა. ე. ი. ურალ-კუზბასში სამი წლის მანძილზე ადგილი აქვს ზრდას 142 პროცენტით მაშინ, როცა საერთო ზრდა მთელს ჩვენს ქვეყანაში შეადგინს 53.8 პროცენტს.

ურალ-კუზბასში 1930 წელს გამოდნობილი იყო 908.000 ტონა თუჯი. ახლა კი—2 მილ. ტონა. ე. ი. სამი წლის განმავლობაში ზრდა 106 პროცენტს უდრის გამოდნობის 42 პროცენტით საერთო ზრდასთან ერთად.

რკინის მადანი. 1930 წელს ამოღებული იყო 1.800.000 ტონა რკინა, ახლა — 4.480.000 ტონა კოქსი: იყო 300.000, ახლა — 1.600.000 ტონა. 1930 წელს ურალ-კუზბასში ძირითადი ქიმია იძლეოდა 24,8 მილიონი მანეთის პროდუქციას, ახლა კი იძლევა 67,2 მილიონი მანეთის პროდუქციას და სხვ.

ამგვარად, დღეს ურალ-კუზბასი იძლევა: საბჭოთა კავშირში ქვანახშირის მთელი ამოღების მეხუთედ ნაწილს, მთელი გამოდნობილი თუჯის მეოთხედზე მეტს. მთელი ამოღებული მადნეულის 30 პროცენტზე მეტს, მთელი გამომწვარი კოქსის მეექვსედ ნაწილს, საბჭოთა კავშირის ძირითადი ქიმიის მთელი პროდუქციის თითქმის მეოთხედს.

ამრიგად, როგორც თქვენ ხედავთ, ურალ-კუზბასის პრობლემა, რომელიც დასახულია მე-16 ყრილობის მიერ, გადაჭრილია არც თუ ისე ცუდად.

როგორ ვსწავლობდით, ამხანაგებო, ჩვენ ამ წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მიწის წიაღს? ქვანახშირი: საერთო მარაგს 1923 წელს ჩვენ ვანგარიშობდით 220 მილიარდი ტონის ოდენობით, მათ შორის სამრეწველო მარაგი სრულიად უმნიშვნელო იყო; ახლა კი 1933 წელს ჩვენ გვაქვს 1.200 მილიარდი ტონა, მათ შორის სამრეწველო მარაგი უდრის 21,4 მილიარდ ტონას. საბჭოთა კავშირში ქვანახშირის გამოკვლეული მარაგი 1933 წელს, 1913 წელთან შედარებით, ხუთჯერ გადიდდა.

რუსეთს ჰქონდა მსოფლიო მარაგის 3 პროცენტი, 1933 წელს საბჭოთა კავშირს აქვს 15 პროცენტი, მათ შორის ისეთი გიგანტები, როგორიცაა კუზნეცკის ბასეინი 400 მილიარდი ტონა ქვანახშირის მარაგით.

ნავთის დარგში ჩვენ შემდეგი მდგომარეობა გვაქვს: 1933 წლის 1 იანვრისათვის საერთო მარაგი შეადგენდა 2.427 მილიონ ტონას, მათ შორის სამრეწველო — 330 მილიონ ტონას. ნავთის მსოფლიო მარაგიდან, რაც 9.350 მილიონ ტონას უდრის, საბჭოთა კავშირს აქვს მეოთხედზე მეტი. ახალი ფართობების გარდა, ბაშკირეთსა და თურქმენისტანში (ნებიტდაგი), სტერლიტამაკი, განსაკუთრებული მარაგია ურალში, ემბინსკის რაიონში. თუ რკინის მადნის საერთო მარაგი 1913 წელს 2 მილიარდ ტონას უდრიდა. 1933 წელს იგი უდრის 9,9 მილიარდ ტონას; აქედან სამრეწველო მარაგი — 4 მილიარდ ტონას. ამას გარდა, გამოკვლეულია, რკინის მადნის კვარციტების უდიდესი მარაგი. რომელთა ძიება წინათ არ ტარდებოდა. მათ შორის კურსკის მაგნიტის ანომალია 200 მილიარდი ტონას მარაგით. რკინის მადნის მარაგის მხრივ საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში, იგი ფლობს მსოფლიოს მთელი მარაგის ნახევარზე მეტს.

სპილენძის მხრივ ჩვენ გვაქვს საერთო მარაგის გადიდება, 1930 წელთან შედარებით, 24-ჯერ, ხოლო სამრეწველო მარაგის — 12-ჯერ. 1933 წელს ჩვენ გვქონდა 16 მილიონი ტონა საერთო მარაგი და 6 მილიონი ტონა სამრეწველო მარაგი.

მე ვლაპარაკობდი, ამხანაგებო, იმის შესახებ, რომ მთელი საქმე იყო ტემპებში. როგორია ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპები? თუ თქვენ შეადარებთ ჩვენი მრეწველობის ტემპების განვითარებას იმ ტემპებს, რომლებიც იყო სხვა ქვეყნებში, მიიღებთ შემდეგ სურათს:

რამდენი წელი დასჭირდებოდათ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს იმისათვის, რომ გაევლოთ ის გზა, რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში განვლო საბჭოთა კავშირმა. თუ ავიღებთ ქვანახშირს — ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამოღების 45 მილიონ ტონიდან მიაღწიეს 76 მილიონ ტონას 9 წლის განმავლობაში (გამოტოვებულია). ჩვენი ქვეყანა 48 მილიონი ტონიდან ავიდა 74 მილიონ ტონამდე **სამი წლის განმავლობაში.** თუ ავიღებთ თუჯს, ამერიკამ გაადიდა თუჯის გამოდნობა 12,6 ათასი ტონიდან დღე-ღამეში (საშუალო წლიური) 21.000 ტონამდე 7 წლის განმავლობაში, გერმანიამ 12.000-დან 20.000 მდე გაადიდა 9 წლის განმავლობაში (გამოტოვებულია).

იგივე ითქმის ელექტროენერგიის გამომუშავებაზე: ინგლისმა გაადიდა გამომუშავება ყველა სადგურზე 8,5 მილიარდ კილოვატ საათიდან 16 მილიარდამდე ათი წლის განმავლობაში, ჩვენ კი 8,3-დან 15,9 მილიარდ კილოვატ საათამდე გავადიდეთ სამი წლის განმავლობაში. მანქანათმშენებლობის პროდუქციის გაორკეცებას გერმანია 13 წელიწადი მოუნდა. საბჭოთა კავშირმა კი ამას **სამი წლის** განმავლობაში მიაღწია. **და ასე ყველაფერში.**

ამ ტემპებმა განსაზღვრეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხის გადაჭრა.

მე არ ვილაპარაკებ, ამხანაგებო, თავდაცვის შესახებ, მე არ მოგიყვანთ თქვენ არავითარ მასალას, შემიძლია მხოლოდ გითხრათ ერთი, რომ მიმდინარე წლის შედარება 1930 წელთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მე შემეძლო ჩამომეთვალა თქვენთვის, თუ რამდენ ტანკს ვამზადებთ ჩვენ, რამდენ ზარბაზანს, რამდენ თვითმფრინავს. ავიამოტორების და სხვ. ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ გასულ წელს ჩვენ არტილერიას მივეცით გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე 1932 წელს. და თუ ეს [illegible] გვაიძულებს ჩვენ მობილიზაცია ვუყოთ მთელ ჩვენს მრეწველობას. რომ შევაიარაღოთ ჩვენი წითელი არმია, ვფიქრობ, რომ ჩვენ გაცილებით უფრო მეტი ძალით შევასრულებთ ამას, ვიდრე სხვა რომელიმეს, რაც ჩვენ დღემდე შევასრულეთ (ტაში).

ხარისხის შესახებ. ჩვენი პროდუქციის ხარისხი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. და ეს ძალიან ხშირად ხდება არა იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვეძლო ამის გაკეთება, არამედ უბრალოდ დაუდევრობის მიზეზებით. მოვიყვან სამ მაგალითს.

ჩვენმა ქარხნებმა ააშენეს საუცხოო პორტალური ონკანი მაგნიტკისათვის და დადგეს იგი. ონკანი არ მუშაობს, არ მუშაობს უკვე ნახევარი წლის განმავლობაში. იმათ, ვინც ეს ამწე დადგეს, არ უზრუნიათ, არ შეუმოწმებიათ და არ უფიქრიათ, თუ რატომ არ მუშაობს იგი.

მეორე მაგალითი კრამატორსკის ქარხანამ დაამზადა ამწე, არც თუ ისე ცუდი ამწე, კუზნეცკის ქარხნისათვის. ამწე არ მუშაობს რამდენიმე ხნის განმავლობაში. კრამატორსკის ქარხანას არ უზრუნია ვინმე გაეგზავნა და გაეგო, თუ რა ემართება ამწეს. მე სვერდლოვსკში, [illegible] ქარხანაში ვნახე ელექტროქარხნის მიერ დამზადებული და ცუდად გაკეთებული ელექტროლუმპელი. მექანიზმი არ მუშაობს. კბილანები ისეთ მანძილზეა ერთიმეორისაგან. რომ კბილანების კბილები ერთმანეთს ვერ ხვდება. ქარხანას არავის არ უზრუნია, არ მოუცლია გამგზავრებულიყო და გაეგო თუ რატომ ხდება ასე.

ჩვენში სამეურნ. მუშაკები დღემდის ვერ იჩენენ პატივისცემას თავისი პროდუქციისადმი, თავისი შრომისადმი. ყოველი, დაჩიავებული საზღვარგარეთელი კაპიტალისტი, მეფაბრიკე, მექარხნე, როცა ის თავის პროდუქციას უშვებს და მას თავის მარკას აკრავს, თვალყურს ადევნებს, რომ ეს მარკა არ შერცხვეს. ჩვენ კი პარტიამ მოგვანდო ქარხნების ეს უდიდესი რაოდენობა, მოგვანდო ასეთი გიგანტები —ჩვენ თავის მარკაზე, თავის „ფირმაზე" ხარისხის ხაზით ნაკლებად ვზრუნავთ ბოლოსდაბოლოს, როცა მათ მოსცხებენ, ხომ ისინივე ასწორებენ და ასრულებენ. ჩვენმა მანქანათმშენებლებმა ხომ თქვეს, პირდაპირ არ არის არც ერთი მანქანა, რომლის აგება ჩვენ არ შეგვეძლოს. ამას აკეთებენ და შეუძლიათ გააკეთონ. მაშასადამე. ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი პროდუქციის ხარისხს. რომ არ იქნეს ის, რასაც ამჟამად ჯერ კიდევ ადგილი აქვს: ოღონდ მოიშორონ თავიდან. ხოლო როგორია, ამას არ დაგიდევენ.

ჩვენში ბარბაროსულად იხარჯება ლითონი. ხშირად 20—30 პროცენტი ბურბუშელად იქცევა.

მუშა-ხელის უდიდესი რეზერვების გამოყენებაზე მე უკვე ვილაპარაკე. ყველა იმ ნაკლზე, რომელსაც ამხ. სტალინი აღნიშნავდა, აქ მე განმეორებით არ ვილაპარაკებ, და ეს არა იმიტომ, რომ შეუძლებელი იყოს მათი გაშუქება მრავალი მაგალითით. სახელმძღვანელოდ უნდა მივიღოთ ამხ. სტალინის ნათქვამი და მაქსიმალური კონტროლით თავიდან ავიცილოთ ეს ნაკლოვანებანი. ეს იქნება საუკეთესო პასუხი ამხ. სტალინისადმი.

მეორე ხუთწლედი მძიმე მრეწველობის წინაშე აყენებს დიდ ამოცანებს — უნდა გავაორკეცოთ პროდუქცია, გავაორკეცოთ კაპიტალური დაბანდებანი, უნდა მოვამარაგოთ [illegible] მოწყობილობით და მანქანებით ტრანსპორტი, მსუბუქი მრეწველობა და სატყეო მრეწველობა საბოლოოდ დავამთავროთ სოფლის მეურნეობის და მთელი სახალხო მეურნეობის რეორგანიზაცია, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა, გავშალოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოება, მოვსპოთ ორგანიზაციულ - სამეურნეო ხასიათის ყველა ნაკლი, რომელსაც ადგილი აქვს თითონ მძიმე მრეწველობაში.

ეს ამოცანები დიდია. მაგრამ ვფიქრობთ. რომ იმ ბაზით, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს ჩვენ ამ ხუთწლიან გეგმას შევასრულებთ.

როცა ჩვენ ვიწყებდით პირველ ხუთწლედს მაშინ ლენინის საკითხი „ვინ-ვის" მძიმე მრეწველობის შექმნის საკითხი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხი — ყველა ეს საკითხი ჩვენს წინაშე იდგა და უცდიდა თავის გადაჭრას. ხოლო ახლა როცა ჩვენ შევედით მეორე ხუთწლედში, ეს ამოცანები გადაჭრილია. მძიმე მრეწველობა არის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია არის, კადრები ამ წლების განმავლობაში გაიზარდნენ ცოდნისა და გამოცდილების მხრივ მეტად, ვიდრე მაშინ იყო.

მაშ რაღა შეგვაჩერებს ჩვენ, რომ ვერ შევასრულოთ მეორე ხუთწლედის გეგმა? არაფერი.

ჩვენი პარტია, ლენინური პარტია ყველაზე მძიმე პირობებში ასრულებდა ყველაზე გრანდიოზულ ამოცანებს. ხოლო ახლა, როცა ის შეიარაღებულია თავისი უდიდესი, ძლიერი ცენტრალური კომიტეტით თავისი კადრებით — ის უეჭველად შეასრულებს მეორე ხუთწლედს, შეასრულებს სასახელოდ.

გაუმარჯოს ლენინური პარტიის მე-17 ყრილობას!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ბელადს, დიდი ბელადის ლენინის ერთგულ მოწაფეს ამხ. სტალინს! **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც გადადის ოვაციაში ყველა ფეხზე მდგომი ესალმება ამხ. ორჯონიკიძეს).**

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის რეზოლუცია

ამხ. რუძუტაკის საანგარიშო მოხსენების გამო ცენტრალურ საკონტროლო კომისია - მუშგლეხინის მუშაობის შესახებ

(მიღებულია ერთხმად)

მოისმინა რა ამხ. რუძუტაკის საანგარიშო მოხსენება, საკ. კ. პ. (ბ) მე 17 ყრილობა მთლიანად იწონებს ცენტრალურ საკონტროლო კომისია—მუშგლეხინის მუშაობას.

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის რეზოლუცია

ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო

ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში დამტკიცდეს (მიღებულია ერთხმად).

სამანდატო კომისიის მოხსენება

მოსკოვი, თებერვალი. ამხ. ეჟოვი, რომელსაც ტაშით ხვდებიან, აკეთებს მოხსენებას სამანდატო კომისიის სახელით. მე-17 ყრილობას ესწრება 1.225 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 736 დელეგატი სათათბირო ხმით.

გადამწყვეტ ხმის მქონე დელეგატებს შორის 598 კაცი—48,5 პროც., პირველად ყრილობის დელეგატები. ეს მოწმობს, რომ საანგარიშო პერიოდში გაიზარდნენ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა ახალი ფენები.

გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატების 80 პროც. პარტიაში შევიდა არალეგალური წლებში და სამოქალაქო ომის დროს— 1920 წლამდე. დელეგატებს შორის არალეგალური მუშაკები შეადგენენ 22,6 პროც. დელეგატების 75 პროც. მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო ომში.

მე-16 ყრილობასთან შედარებით ძალიან გადიდდა სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის მუშაკ-დელეგატთა რიცხვი. დელეგატთა შორის 168 კაცი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საბჭოთა მეურნეობების და რკინის გზების პოლიტგანყოფილებათა მუშაკებია.

მთელმა ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება. ამით დამთავრდა ყრილობის პირველი თებერვლის სხდომა.

სტრატოსტატის გმირების ხსოვნას

სტრატოსტატ „ოსოავიახიმის" დაღუპვის მიზეზების გამომკვლევი კომისიის ცნობა

კადოშკინი, 1 თებერვალი. კატასტროფის ადგილზე კომისიის მუშაობის შედეგად ამჟამად გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

სტრატოსტატის გონდოლა დაეცა მორდოვის ოლქის ინსარის რაიონის სოფ. პოტიჟოსტროგის მახლობლად მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის სადგურ კადოშკინის სამხრეთით 16 კილომეტრის მანძილზე, გაფრენის მონაწილეები მკვდარი აღმოჩნდენ გონდოლაში.

საპილოტო და სამეცნიერო ხელსაწყოების ერთი ნაწილი, რომლებიც გონდოლაში ინახებოდა, დამტვრეული აღმოჩნდა. ხელსაწყოების ნაწილი ნაპოვნია ნახევრად განადგურებულ მდგომარეობაში და საჭიროა მისი შემდგომი გამოკვლევა. გაფრენის სამივე მონაწილის ჩანაწერები აგრეთვე რეგისტრაცია ბაროგრაფისა, რომელმაც ჩასწერა წნევა გონდოლის შიგნით, სავსებით დაცულია.

ნაპოვნი და გულდასმით გამოკვლეული მასალების საფუძველზე კომისიამ გამოარკვია:

ა) 12 საათსა და 33 წუთზე სტრატოსტატ „ოსოავიახიმმა" მიაღწია ზღვარულ 22 ათას მეტრს, ამ სიმაღლეზე სტრატოსტატი დარჩა 12 საათსა და 45 წუთამდე, რის შემდეგ იწყო ძირს დაშვება.

ბ) ბორტის ჟურნალში ჩაწერა რეგულარულად წარმოებდა 16 საათსა და 07 წუთამდე უკანასკნელი ჩაწერა ეკუთვნის 16 საათს და 10 წუთს და ეს დრო კომისიის მიაჩნია კატასტროფის დასაწყისად.

გ) დამტვრეული ბაროგრაფის ჩანაწერების მიხედვით კომისიამ გამოარკვია რომ ბაროგრაფმა შესწყვიტა მუშაობა 16 საათსა და 21 წუთზე. კატასტროფის ადგილზე ნაპოვნი ჯიბის საათის (რომელიც ამხ. ვასენკოს ეკუთვნის) ისრები გაჩერებულია დარტყმისაგან 16 საათსა და 23 წუთზე. ყველა გამოკითხული მცხოვრები აგრეთვე უჩვენებენ გონდოლის მიწაზე დაცემის დროს—16 საათ წუთებით.

ზემოაღნიშნულისა გამო კომისია ადასტურებს, რომ გონდოლა მიწაზე დაეცა 16 საათსა და 23 წუთზე.

კატასტროფის მიზეზს წარმოადგენს სტრატოსტატის დაშვების ზედმეტი პროგრესიულად მზარდი სისწრაფე, რომელიც დაიწყო 16 საათზე და ათ წუთზე 12 ათასი მეტრის სიმაღლიდან. რამაც, როგორც ჩანს, გამოიწვია სტროპების ნაწილების დახეთქვა და მთელი სისტემის წონასწორობის დარღვევა, რის შედეგადაც გარსს მოწყვეტილი გონდოლა მთელი ძალით დაეჯახა მიწას 16 საათზე და 23 წუთზე.

დადასტურებულია, რომ სტრატოსტატში მყოფი კომანდა დაიღუპა გონდოლას მიწაზე დაჯახების შედეგად. გონდოლას გარსზე ყინულის მიკვრის არავითარი ნიშანი არ არის აღმოჩენილი. დაშვების რაიონში მოსჩანდა ღრუბლების გარღვევა, რომელთა შორის, თანახმად ჩანაწერებისა, პილოტები ხედავდნენ მიწას და თვით სტრატოსტატი ისჩანდა ცალკეულ მომენტებში დედამიწის ზედაპირიდან. ამრიგად „პრავდაში" 31 იანვარს გამოქვეყნებული რადიოგრამა. რომელიც მიიღო რადიომოყვარულმა გომელის რაიონში და რომელიც იტყობინებოდა სტრატოსტატის შემოყინვის და ფრენის მონაწილეების მძიმე მდგომარეობის შესახებ. არ შეესაბამება სინამდვილეს და როგორც ჩანს რადისტი ვიღაცას მისტიფიკაციის მსხვერპლი გახდა.

ყველა გადარჩენილ ჩანაწერიდან დასტურდება, რომ გაფრენის დროის დაწყებიდან 16 საათსა და 10 წუთამდე სტრატოსტატის ეკიპაჟს ჰქონდა მხნე სულიერი განწყობილება და უვნებლად დაშვების მტკიცე რწმენა.

ჩანაწერების და დარჩენილ ხელსაწყოების მიხედვით, შესაძლებელი გახდა იმ დიდი სამეცნიერო მუშაობის აღდგენა, რომელიც ჩაატარეს სტრატოსტატის გაფრენის მონაწილეებმა.

კომისია განაგრძობს ნაპოვნი მასალების და გადარჩენილი ნივთიერი საბუთების შემდგომ შესწავლას კატასტროფის ყველა გარემოებათა დასაზუსტებლად და გამოსარკვევად.

სტრატოსტატ „ს.ს.ს.რ."-ის კომანდირი გ. ა. პროკოფიევი.
პროფესორი პ. ა. მოლჩანოვი.
ინჟენერი ვ. ა. სემიონოვი.
ინჟენერი ი. ტ. პრილუცკი.
ზ. ი. ვილონაჩი.
1 თებერვალი, 4 წ. დილის

ს. ს. რ. კ. ცენტრ. აღმას. კომიტეტის დადგენილება

სტრატოსფეროში უკანასკნელი გაფრენის დროს 30 იანვარს დაღუპულ სამი ამხანაგის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

აღნიშნავს რა სტრატოსტატ „ოსოავიახიმის" დაღუპული გმირების—ამხ. პ. ფ. ფედოსენკოს. ა. ბ. ვასენკოს და ი. დ. უსისკინის განსაკუთრებულ დამსახურებას. რომლებიც თავისი დაღუპვის დღემდე თავდადებულად ეწეოდენ გმირულ სამეცნიერო მუშაობას სტრატოსფეროში რაც აღნიშნულია ჩანაწერებში და დადასტურებულია ხელსაწყოებით და რომლებმაც გამოიჩინეს დიდი სიმამაცე და თავდადებულობა სტრატოსფეროს დღემდე მიუღწეველი სიმაღლეების დაუფლების საქმეში. ს.ს.რ.კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაჯილდოებულ იქნან თვითეული მათგანი ლენინის ორდენით.

ს.ს.რ.კ. ცაკის თავმჯდომარე მ. კალინინი.
ს.ს.რ.კ. ცაკის მდივანი ა. ენუქიძე.

სტრატოსფეროში დაღუპულ გმირთა ნეშტი მოასვენეს მოსკოვში

მოსკოვი, 1 თებერვალი. გუშინ საღამოს სტრატოსფეროს დაღუპულთა გმირების —ამხ. ფედოსენკოს, ვასენკოს და უსისკინის ნეშტი მოასვენეს მოსკოვში.

19 საათსა და 5 წუთზე ყაზანის სადგურის პერონს ნელა უახლოვდება წითელი მარლით და სამგლოვიარო არშით შემოსილი ორთქლმავალი. წინ—ორთქლმავალის ორივე მხარეზე საპატიო ყარაულში, გარინდებული დგას ორი წითელარმიელი. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს. პერონის გასწვრივ იმყოფებიან რუსეთის ს.ფ.ს.რ. ცაკის სკოლის კურსანტები საპატიო ყარაული. დაღუპულთა ნათესავები. მეგობრები და ამხანაგები. პროლეტარული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. თავდაცვა-ავიაქიმის პასუხისმგებელი მუშაკები.

მატარებელი ჩერდება. ვაგონიდან გამოაქვთ ამხ. ფედოსენკოს ვასენკოს და უსისკინის კუბოები. რომლებიც შემოსილია წითელი აბრეშუმით და შემკულია ყვავილებით. საპატიო ყარაულის რიგებ შორის ნათესავებს და მეგობრებს გადააქვთ გმირთა ნეშტი. სადგურის მოედანთან ჩამწკრივებული საპატიო ყარაული. თავშეყრილია დიდძალი ხალხი. კუბოებს ავტომობილებში სდებენ. კუბოებზე [illegible] დროშები. სამგლოვიარო კოლონა მიემართება კრემაციის ადგილისაკენ. ურნებს ამხ. ფედოსენკოს. ვასენკოს და უსისკინის ნეშტით ასვენებენ ს.ს.რ.კ.-ის ცაკის შენობაში წითელ მოედანზე.

ურნებთან მისვლა შეიძლება 24 საათიდან.

მოსკოვის პროლეტარიატის გრანდიოზული დემონსტრაცია

პარტიის მე-17 ყრილობის პატივსაცემად

მოსკოვი, 31 იანვარი. მრავალი გრანდიოზული დემონსტრაცია უნახავს წითელ მოედანს, რომელთანაც დაკავშირებულია რევოლუციის ისტორიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტები პროლეტარიატის და პროლეტარული ძლიერების ყველა ამ [illegible]. ალბათ შორის, ყველა ამ მილიონიან შეჯლილობას შორის 1934 წლის 31 იანვრის დემონსტრაცია საპატიო ადგილს დაიკავებს და მუდამ დაუვიწყარი იქნება მისი ყველა მონაწილისათვის.

ეს—ეს არის ყრილობაზე განსაკუთრებული ძლიერით მოხდა პარტიის შიგნითური მთლიანობის პარტიის ისტორიაში უგონარი დემონსტრაცია. ეს—ის არის, რაც ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ყველა ორატორის სიტყვაში, გუშინდელი ოპოზიციონერების სიტყვებშიაც კი აღნიშნული იყო, რომ მთელი პარტია, როგორც ერთი კაცი, შემჭიდროებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო თავისი ბელადის გარშემო, რომ იგი მზად არის დაუძლეველი ალტყინებით წავიდეს ახალი ბრძოლებისაკენ და ახალი გამარჯვებებისაკენ.

ახლა წითელ მოედანზე მოსკოვის პროლეტარები და ყოველი მშრომელი ცხადყოფენ პარტიის გარშემო შემჭიდროებული მასების მთლიანობას.

ლაპარაკობენ მოსკოვის მუშების და მუშა-ქალების წარმომადგენლები. ისინი სიტყვით [illegible] ყრილობას. [illegible] სიტყვას აძლევენ იმას დიდ, ახლობელ და ღვიძლ სტალინს, რომ მუშათა და კოლმეურნეთა ათეული მილიონები აიტაცებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომ მუშათა და კოლმეურნეთა ათეული მილიონები განახორციელებენ მათ.

გულით და სულით, მხურვალედ და გულწრფელად, მღელვარებით ესალმებიან სოციალისტური მშენებლობის საუკეთესო დამკვრელს—სტალინს. გაფაციცებით იმზირება მიყურადებული უდიდესი მოედანი, გაფაციცებით იმზირებიან ტრიბუნაზე მდგომი დელეგატები დედაქალაქის პროლეტარიატის სოლიდარობიდან წარმომადგენელთა უბრალო და სადა, მაგრამ ამასთან ერთად დიდსა და მნიშვნელოვან სიტყვებს. რამდენიმე ასეული ათასი გულიდან ამოხეთქილი მქუხარე „ვაშა" ადასტურებს ორატორების განცხადებებს. მისასალმებელ შეძახებათა ტალღა ხელახლა ავარდა ახალი ძალით, როცა სიტყვა ყრილობის სახელით საპასუხო სიტყვისათვის ეძლევა ამხ. კიროვს. ამხ. კიროვის გამოსვლა იწვევს გაუგონარად გრანდიოზულ ოვაციებს, რომლებსაც მართავენ დემონსტრანტთა აურაცხელი ჯგუფები პარტიის მე-17 ყრილობის პატივსაცემად, პარტიის და ყველა მშრომელთა დიდი ბელადის ამხ. სტალინის პატივსაცემად. „ინტერნაციონალის" ხმა. შეძახილი „გაუმარჯოს მე-17 ყრილობას". „გაუმარჯოს სტალინს", „ვაშას" ძახილი იქცევა უმაგალითო ძალისა და ძლიერების სიმფონიად.

მიტინგი წითელ მოედანზე

დღის 4 საათისათვის მავზოლეის ორივე მხრივ გამართული ტრიბუნები ივსება ყრილობის დელეგატებით. წითელ მოედანზე [illegible] მშრომელები, რომლებიც მოვიდნენ იმისათვის, რომ მიესალმონ ისტორიულ ყრილობას.

4 საათი და 20 წუთი. მავზოლეის მარცხენა ტრიბუნაზე დგანან ამხ. **სტალინი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი, ვოროშილოვი; ორჯონიკიძე; კუიბიშევი; კიროვი; კოსიორი, მიქოიანი, პოსტიშევი, რუძუტაკი; შვერნიკი; ენუქიძე; ხრუშჩოვი** და პარტიული ყრილობის პრეზიდიუმის სხვა წევრები.

მიტინგს ხსნის ამხ. ხრუშჩოვი, რომელიც ამბობს:

„მოსკოვის მშრომელები მზად არიან შემდგომი ძლევამოსილი ბრძოლისათვის პარტიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ბრძოლისათვის ჩვენი ლენინური ცენტრალური კომიტეტის და პარტიის და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით" (მოედანზე გაისმის მქუხარე „ვაშა")

მიკროფონთან დგას საბჭოთა კავშირის საუკეთესო მემანქანე, მოსკოვ-კურსკის რკინის გზის დამკვრელი ამხ. **ხრუკოვი.** წითელი დედაქალაქის ყველა მშრომელის სახელით იგი პროლეტარულ სალამს უძღვნის პარტიის მე-17 ყრილობას. მოსკოვის მშრომელებ შემჭიდროებული რიგებით და სოციალისტურ მშენებლობაში პარტიის და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით მოპოვებულ უდიდეს გამარჯვებებით შეხვდნენ პარტიულ ყრილობას.

ჩვენ მოსკოვის პროლეტარები, მობილიზებული ვართ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანების შესასრულებლად.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეორე ხუთწლედში ეს ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმატებით იქნება დამთავრებული.

გაუმარჯოს პარტიის მე-17 ყრილობას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის და მსოფლიო პროლეტარიატის საუკეთესო დამკვრელს ამხ. სტალინს!

კვლავ გაისმის „ინტერნაციონალის" ხმა. „ვაშას" მძლავრი ძახილი კვლავ არხევს მოედანს.

მოკლე სიტყვით გამოდის პეტრე ალექსეევის სახელობის ფაბრიკის ფეიქარი ქალი ამხ. [illegible]. იგი აცხადებს, რომ მოსკოვის მშრომელები მოვიდნენ ამ მოედანზე, რათა მიესალმონ მე-17 ყრილობის დელეგატებს და ბელადს ამხ. სტალინს.

პარტიის ყრილობის სახელით მოსკოვის მშრომელებს სიტყვით მიმართავს ამხ. კიროვი.

ამხ. კიროვის სიტყვა

ჩვენი სახელოვანი წითელი დედაქალაქის ამხანაგო მუშებო და მუშა-ქალებო! ჩვენი ბოლშევიკური პარტიის მე-17 ყრილობის სახელით გადმოგცემთ თქვენ მხურვალე სალამს (ხმები „ვაშა").

ამხანაგებო. ჩვენი პარტიის ყრილობა აჯამებს იმ უდიდესი მუშაობის შედეგებს, რომელიც შეასრულა მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან შეიკრიბნენ ჩვენი ლენინური კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები აქ ყველანი. ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა მიწა-წყალზე არ მოიპოვება არც ერთი ისეთი კუთხე სადაც არ იყოს გაშლილი ახალი კომუნისტური ბოლშევიკური მუშაობა, ახალი სოციალისტური ცხოვრების ახალი მუშაობა.

არა მარტო ჩვენი ქვეყნის ძირითად ქალაქებში, არამედ ისეთ ქალაქებშიაც, რომელთა სახელიც ადრე ფართოდ არ იყო ცნობილი, იქაც კი იქმნება სოციალისტური მშენებლობის კერები, ფაბრიკები და ქარხნები, იქ, სადაც გუშინ უდაბნოები და უდაბური ადგილები იყო —ახლა შენდება ინდუსტრიის გიგანტები.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობის გიგანტურ მიღწევათა საფუძველზე. მრეწველობამ, რომელმაც მოგვცა უდიდესი ტექნიკური საშუალებანი, ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ შევძელით გადაგვეყვანა ჩვენი სოფელი საკოლმეურნეო რელსებზე. ამ უდიდესმა მონაპოვარმა მოგვცა ახალი საფუძველი ჩვენს ქვეყანაში მუშებისა და გლეხების კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

ამხანაგებო. ყველ ამან ერთად აღებულმა დიდად განამტკიცა ჩვენი კავშირის თავდაცვის უნარი, აამაღლა ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში.

ამხანაგებო, ჩვენი პარტიის და ჩვენი მუშათა კლასის მთავარი და უდიდესად ძნელი, ყველაზე უფრო დიდი მონაპოვარი ის არის, რომ ჩვენ უკანასკნელ წლებში შევძელით საბოლოოდ და ძირფესვიანად აღმოგვეფხვრა ის საფუძვლები, რომლებზედაც შეიძლებოდა წარმოშობილიყო და განვითარებულიყო კაპიტალიზმი. ამის ჩვენ [illegible] და სამუდამოდ დავასამარეთ ძველი, წყეული, ექსპლოატატორული მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილება. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლევამოსილი მონაპოვარი ჩვენი დიდი კომუნისტური პარტიისა, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი სახელოვანი, [illegible], დიდი ლენინელი—ამხ. სტალინი (შეძახილი „ვაშა").

ამხანაგებო! ჩვენი გამარჯვებებით ჩვენ აგრეთვე უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ჩვენ გვყავს უდიდესი კომუნისტური პარტია, რომელშიაც თავმოყრილია ყოველი საუკეთესო, ყოველივე შემოქმედებითი და რევოლუციური ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის წრიდან.

ჩვენ გვყავს ისეთი პარტია, რომელსაც შესწევს თავისი უდიდესი სამუშაოთი გამარჯვების ზეიმობის უნარი. ჩვენ გვყავს ისეთი პარტია, რომელიც არ იხრის თავის პოლიტიკურ ქედს არავითარი იმ სიძნელეთა და საშიშროების წინაშე, რომლებსაც ბადებს როგორც შინაური, ისე საგარეო ვითარება.

ამხანაგებო, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ თუ ჩვენი მტრები აღმოსავლეთისა და დასავლეთში მოიწადინებენ იერიში მოიტანონ დიადი საბჭოთა კავშირის საზღვრებზე, ჩვენ მზად ვიყოთ გამანადგურებელი წინააღმდეგობა გავუწიოთ მტერს ((გამოტოვებულია).

დასასრულ, ნება მომეცით გადმოგცეთ [illegible] ბოლშევიკური სალამი იმ ქალაქისაგან, რომლის დელეგატი მე ბედნიერება მაქვს ვიყო,—ჩვენი სახელოვანი ლენინგრადისაგან.

გაუმარჯოთ ჩვენი დიადი წითელი დედაქალაქის—მოსკოვის მუშებს!

გაუმარჯოს ჩვენი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, რომელიც წინ მიუძღვის მრავალმილიონიან კოლმეურნე გლეხობას!

გაუმარჯოს ჩვენი ყველა გამარჯვების ხელმძღვანელს, ჩვენს სახელოვან, ურყევ, დიად მთლიან კომუნისტურ პარტიას, მის მე-17 ყრილობას და მის სახელოვან, შეუდრეკელ დიდ ხელმძღვანელს და [illegible] ამხ. სტალინს! (შეძახილი „ვაშა", „გაუმარჯოს მე-17 ყრილობას" „გაუმარჯოს სტალინს", „გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას", ოვაციები „ინტერნაციონალი").

მოდიან მოსკოვის მუშები

4 საათსა და 55 წუთზე იწყება დედაქალაქის პროლეტარების და მშრომელთა დემონსტრაცია. წითელი მოედანი ერთბაშად ამოძრავდა. გაისმის ორკესტრების გუგუნი. მავზოლეის წინ მიდიან დემონსტრანტების კოლონები. მათ თავზე ფრიალებს უთვალავი დროშები, ლოზუნგები; პლაკატები; საწარმოო ემბლემები; თვითმფრინავების, ტანკების მოდელები, ტრანსპარანტები გამარჯვებათა პატაკებით. მოსკოვის პროლეტარები მე-17 ყრილობას უპატაკებენ თავისი ქარხნების და ფაბრიკების დიდი სიძლიერის შესახებ. მოდიან მუშები, კრასნაია პრესნელები, ბაუმანელები. დედაქალაქის ყველა ათი რაიონის მუშები.

მავზოლეიდან ისმის მისალმებანი: წითელი დედაქალაქის პროლეტარებს—„ვაშა"!—ვაშა—ა—ა—ა—ა—ა მძლავრად გუგუნებენ დემონსტრანტები.

— გაუმარჯოს მოსკოვის ბოლშევიკებს —გაისმის ტრიბუნიდან.

7 საათსა და 30 წუთზე მთავრდება მშრომელთა დემონსტრაცია. უკანასკნელად გაიარეს მოსხვეს, ელექტროზავოდის, „პროლეტარის" და სხვ. დამკვრელებმა.

დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა მილიონამდე მშრომელი (ადს).

გერმანელი ფაშისტების ბატონობის წლისთავი

ჰიტლერის დემაგოგიური სიტყვა რეიხსტაგში

ბერლინი, 30 იანვარი. დღეს, ხელისუფლების სათავეში **ჰიტლერის** მთავრობის ჩადგომის წლის თავზე, შედგა რეიხსტაგის სხდომა, რომელზედაც ჰიტლერი სიტყვით გამოვიდა. მთელი გზა, მიმავალი ოპერის შენობისაკენ სადაც რეიხსტაგის სხდომები მიმდინარეობდა გარშემორტყმული იყო მობილიზებულ პოლიციელთა დიდძალი რაზმებით. ანალოგიური ზომები მიიღეს თვითონ შენობის შიგნით. სადაც, გარდა პოლიციისა, იმყოფებოდნენ მრავალრიცხოვანი ფაშისტური [illegible] რაზმები. ყველა დეპუტატს ეცვა მოიერიშეთა მიხაკისფერი მუნდირი ან ფაშისტური მცველრაზმების შავი მუნდირი.

სხდომა გახსნა რეიხსტაგის თავმჯდომარემ, პრუსიის პრემიერმა **გერინგმა,** რომელმაც თავის სიტყვაში ხოტბა შეასხა „ნაციონალ-სოციალისტური მთავრობის წარმატებებს„ მისი საქმიანობის პირველი წლის განმავლობაში.

ჰიტლერის სიტყვის ძირითადი ნაწილი მიძღვნილი იყო გერმანიის ფაშიზმის ისტორიისა, ვეიმარის სისტემის კრიტიკისა და საშინაო პოლიტიკის სხვა საკითხებისადმი. ამასთან ჰიტლერი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ნაციონალ-სოციალისტების მიერ ამოჩემებულ თეზისს, რომ ხელისუფლების სათავეში მთავრობის ჩადგომამ, ვითომ იხსნა არა მარტო გერმანია, არამედ მთელი კაპიტალისტური ქვეყნიერებაც „მსოფლიო კომუნისტური რევოლუციისაგან".

ჰიტლერი დაწვრილებით შეჩერდა გერმანიის ბურჟუაზიის ბანაკში მონარქისტული ტენდენციების ზრდაზე და განაცხადა რომ „მონარქიის ღირსებებისადმი მთელი პატივისცემის მიუხედავად, გერმანიის ისტორიის ნამდვილად დიდი იმპერატორების და მეფეების წინაშე გერმანელი ერის მთელი მოწიწების მიუხედავად, გერმანიის სახელმწიფოებრივი ფორმის საკითხი ამჟამად ყოველგვარი დისკუსიის გარეშე დგას".

გადავიდა რა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, ჰიტლერი კვლავ ამტკიცებდა რომ გერმანიას სურს შეინარჩუნოს მშვიდობიანობა და მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან; ამასთან აღნიშნა, რომ ნაციონალ-სოციალისტების [illegible] პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენდა ბრძოლა გერმანიის ღირსებისა და თანასწორუფლებიანობისათვის".

„პრინციპულად,—განაცხადა ჰიტლერმა,—გერმანიის მთავრობა იმ დებულებიდან გამოდის, რომ სხვა ქვეყნებთან გერმანიის ურთიერთობისათვის მნიშვნელობა არა აქვს ამ ქვეყნების კონსტიტუციის და მართვა-გამგეობის ფორმას. ეს არის თვითეული ხალხის სუვერენული საქმე. მხოლოდ [illegible] შეუძლებელი ის მდგომარეობა, რომ, მიუხედავად ამ მსოფლმხედველობათა უდიდესი განსხვავებისა, რომლებიც [illegible], ერთი მხრივ, გერმანიაში, ხოლო მეორე მხრივ საბჭოთა კავშირში, გერმანია აგრეთვე ამ წელსაც ესწრაფოდა მეგობრული ურთიერთობა [illegible] საბჭოთა კავშირთან. თუ სტალინმა თავის უკანასკნელ დიდ სიტყვაში გამოთქვა ერთგვარი შეშფოთება იმის გამო, რომ გერმანიაში, ვითომ, საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი ძალები მოქმედებენ, მე აქ უნდა შევასწორო ეს აზრი იმ მხრივ, რომ როგორც საბჭოთა კავშირში ვერ მოითმენდნენ გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმის ტენდენციებს, სწორედ ასევე გერმანია ვერ მოითმენს კომუნისტურ ტენდენციებს ან კომუნისტურ პროპაგანდას. რაც უფრო ნათლად გამოაშკარავდება და პატივცემით ისარგებლებს ეს დებულება ორივე სახელმწიფოს მხრივ, მით უფრო ბუნებრივად შეიძლება იმის შენარჩუნება და განვითარება, რაც ორივე ქვეყნის საერთო ინტერესს შეადგენს. ამიტომ ჩვენ მივესალმებით აგრეთვე მისწრაფებებს ურთიერთობის სტაბილიზაციისაკენ აღმოსავლეთში პაქტების სისტემის გზით, თუ ამასთან ხელმძღვანელ თვალსაზრისს ნაკლებად იქნება ტაქტიკურ-პოლიტიკური ხასიათი და უფრო მეტად იქნება მიმართული მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ".

ჰიტლერის სიტყვაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ავსტრიასთან ურთიერთობის საკითხს, ამასთან ის უარყოფდა ბრალდებას, რომ გერმანია ერევა ავსტრიის შინაურ საქმეებში. ჰიტლერმა ამავე დროს განაცხადა, რომ ავსტრია მოსახლეობის მხრივ გერმანული ქვეყანა—მრავალი ასეული წლის განმავლობაში შეადგენდა გერმანიის აღმოსავლეთ პროვინციას. მისი ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა ავსტრიაში წარმოადგენს მხოლოდ იმის გამოხატულებას, რომ ავსტრიელი გერმანელები გრძნობენ თავის „სულიერ კავშირს გერმანიასთან". ჰიტლერი ამტკიცებს რომ დაძაბულ ურთიერთობაში დამნაშავეა ავსტრიის მთავრობა და აცხადებს: გერმანია „სავსებით პატივსცემს ავსტრიელ გერმანელების ნებისყოფის თავისუფლებას და ყოველთვის მზად არის ხელი გაუწოდოს მათ [illegible] შეთანხმების განსახორციელებლად".

ჰიტლერი აცხადებს, რომ გერმანიას სურს მშვიდობიანობა საფრანგეთთან, ესწრაფვის მიაღწიოს მასთან შეთანხმებას და აღნიშნავს, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის „არ არის საერთო ტერიტორიული საკითხები, საარის საკითხის გამოკლებით". ჰიტლერი აცხადებს, რომ ის წინადადებას იძლევა ახლავე, ხალხთა კავშირის ყრის დაუცდელად, მოწესრიგდეს საარის საკითხი. თუმცა, ჰიტლერის სიტყვით, გერმანიას ეჭვი არ ეპარება ყრის შედეგში, მაგრამ „კამპანიურ და მისთვის მზადების [illegible] პროცესს შეუძლია გამოიწვიოს ნაციონალისტური ვნებათა ღელვა, რაც სამწუხარო იქნებოდა. ეს საკითხი რომ ხელშეკრულების გზით ახლავე მოწესრიგდეს, მაშინ ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაუწყებდა მის გადაწყვეტას გამარჯვების თუ დამარცხების თვალსაზრისით განხილვას და ამით [illegible] იქნებოდა აცილებული ახალი საბაბი გერმანიის და საფრანგეთის ურთიერთი გაგების დარღვევისათვის. აღნიშნა რა, რომ საფრანგეთი არ იჩენს სურვილს მიიღოს ეს წინადადება, ჰიტლერმა გამოთქვა იმედი, რომ ორივე ქვეყანას შორის ბოლოსდაბოლოს შეთანხმება მიღწეული იქნება.

ჰიტლერმა შემდეგ მადლობა გადაუხადა ინგლისის მთავრობას, რომელმაც „შემოგვთავაზა თავისი დახმარება საფრანგეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების საქმეში" (ადს).

გერინგი მოითხოვს მონარქისტულ ორგანიზაციების დაშლას

ბერლინი, 31 იანვარი. გერინგმა, როგორც სახელმწიფო საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელმა, სპეციალური წერილით მიმართა საერთო საიმპერიო შინაგან საქმეთა მინისტრს ფრიკს და მიაქცია მისი ყურადღება იმ გარემოებას, რომ მონარქისტებმა საგრძნობლად გააძლიერეს თავისი პროპაგანდა, რომ ისინი ქმნიან ორგანიზაციებს და კავშირებს და აგროვებენ თავის მომხრეებს. „გამოირკვა,—წერს გერინგი,— რომ აღნიშნული კავშირების მოქმედება მიმართულია ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის წინააღმდეგ და ამით—სახელმწიფოს წინააღმდეგ". მოითხოვს რა აღნიშნული ორგანიზაციების დაშლას, გერინგი აცხადებს, რომ მას განზრახვა აქვს „არაფრის წინაშე არ შეჩერდეს და გაწმინდოს სახელმწიფო ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობით უკმაყოფილო ელემენტებისაგან" (ადს).

ბულიტი მიემგზავრება მოსკოვში

პრესის გადმოცემით, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საბჭოთა კავშირში ბულიტმა განაცხადა, რომ იგ 15 თებერვალს მიემგზავრება მოსკოვში (ადს).

ტფილისი

2.100.000 მან. მუნიციპალიზებულ სახლების შესაკეთებლად

ტფილისის საბჭომ გადასდო 2.100.000 მანეთი მიმდინარე წლის განმავლობაში ტფილისში მუნიციპალიზებული სახლების შესაკეთებლად. ამ თანხიდან 1.000.000 მანეთი განაწილებულია რაისაბჭოებს შორის მათ გამგებლობაში არსებულ სახლების შესაკეთებლად, ხოლო დანარჩენი 1.100.000 მანეთი გადაეცა საბინაო კოოპერაციას.

რაისაბჭოებთან არსებულ სახლთა ტრესტებს და საბინაო ამხანაგობათა რაიონულ კავშირებს დავალებული აქვთ ეხლავე მოიმარაგონ სახლების შესაკეთებლად საჭირო მასალები და შეკეთებას შეუდგნენ გაზაფხულიდანვე.

თბოელექტრო სადგურის მშენებლობა დაიწყება მარტიდან

მარტიდან დაიწყება ტფილისის ახალი 12.000 კილოვატიანი თბოელექტროსადგურის მშენებლობა (კამოს ქუჩაზე, ტრამვაის ყოფ. ცენტრ. ელსადგურის ტერიტორიაზე). მშენებლობის უფროსად ტფილისის საბჭომ დანიშნა **ნ. რ. კიკნაძე,** რომელიც [illegible] საბჭოთა კავშირის ელექტრომანქანათმშენებლობის ქარხნებში სადგურის მოწყობილობათა შესაკვეთად და შესაძენად.

სადგურის პროექტი უკვე მზადაა და დაწყებულია სამუშაო ნახაზების შესრულება.

25 ახალი ავტობუსი და 20 ტაქსი

მიმდინარე წლის განმავლობაში ტფილისის ავტოტრანსმა უნდა მიიღოს 25 ახალი ავტობუსი და 20 ტაქსი (სამგზავრო მსუბუქი ავტო). წლის ბოლოსთვის ტფილისში იმოძრავებს სულ 40 ავტობუსი და 20 ტაქსი.

ახალი ავტობუსების პირველი პარტიის მიღებისთანავე გადაწყვეტილია საავტობუსო მოძრაობის ახალი ხაზის გახსნა თავისუფლების მოედნიდან ვაკემდე და საბურთალომდე. ახალი ავტობუსების მიღება უკვე წარმოებს. ამ ორი დღის წინათ მიღებულია ახალი, 30-ადგილიანი რბილსაჯდომებიანი ავტოკარი, რომელიც გაშვებული იქნება ხაზზე 3 თებერვლიდან.

პაის შეგროვებაში დაწინაურდა ქალაქის საწარმოთა მუშების პროფკავშირი

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი რესპუბლიკაში პაის შეგროვების 1933 წ. გეგმის შესრულების შესახებ. გამოირკვა, რომ პაის შეგროვებაში ყველა ქალაქებს გაასწრო ტფილისმა, რომელმაც წლიური გეგმა (8.266.000 მან.) შეასრულა 104 პროცენტით (შეაგროვეს 8.599.000 მანეთი). პაის შეგროვების გეგმების უკეთ შესრულებისათვის გამოცხადებული იყო შეჯიბრება ცალკე პროფკავშირებს შორის. აღმოჩნდა, რომ ამ საქმეში დაწინაურდა და ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოგვცა ქალაქის საწარმოთა მუშების კავშირმა.

საკლუბო მუშაკების მომზადება

15 თებერვლიდან ტფილისში იწყობა საკლუბო მუშაკების მოსამზადებელი ოთხთვიანი კურსები. კურსებზე გამოსაგზავნი მსმენელები უნდა გამოყონ მუშათა კლუბებმა და რაიპროფსაბჭოებმა.

კურსებს აწყობს საქ. პროფსაბჭო, რომელმაც ამასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად გაიღო 51.435 მანეთი.

საგაზაფხულო თესვის კამპანიაში

განათლების ორგანოების მონაწილეობის შესახებ

(საქ. განსახკომის დადგენილება)

1. ა.-წ. 12 თებერვალს მოწვეულ იქნას ტფილისში გან. განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკანური თათბირი შემდეგი დღის წესრიგით:

ა) მასობრივი კულტ.-საგანმანათლებლო მუშაობის გეგმა და მორიგი ამოცანები საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში

ბ) კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში კულტურული მშენებლობის ამოცანები და ორგანიზაცია.

2. წინადადება ეძლევა რაი-გან. განყოფილებათა გამგეებს გამოცხადდნენ 12 თებერვალს აღნიშნულ თათბირზე.

3. არა უგვიანეს 15-20 თებერვლისა, ჩატარებული იქნას ყველა რაიონში პოლიტგანმუშაკების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების გამგეების კულტ. კონფერენციები საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში კულტ. საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარების შესახებ.

4. ჩამორჩენილ და [illegible] 25 რაიონში განსახკომიდან მივლინებულ იქნან პასუხისმგებელი ამხანაგები 10 დღის ვადით ადგილებზე კულტ. კონფერენციების ჩასატარებლად.

5. ყველა განათლების განყოფილებამ განსახკომის საერთო დირექტიული გეგმის საფუძველზე — შეადგინოს სამან.-სატრ. სად. პოლიტგანყოფილებებთან შეთანხმებით საგაზაფხულო თესვის კამპანიის კულტურულ საგანმანათლებლო მომსახურეობის ერთიანი რაიონული გეგმები.

განათლების სახ. კომისარი უ. ბედია

ქრონიკა

აგარის ქარხანამ დაამთავრა შაქრის ჭარხლის გადამუშავება

29 იანვარს აგარის შაქრის ქარხანამ დაამთავრა მთელი შაქრის ჭარხლის გადამუშავება. სულ გადამუშავებულია 308.000 ცენტნერი ჭარხალი და მიღებულია 33.209 ცენტნერი შაქარი.

სხვადასხვა

გამოვიდა და იყიდება ამხ. **შ. დუდუჩავას** წიგნი „ნაციონალური კინემატოგრაფიის პრობლემები" (რუსულ ენაზე), გამოცემა სახელგამის. წიგნი შეიცავს 185 გვერდს და ღირს 6 მანეთი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

2 თებერვალს დღის 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტში (ოთახი № 45) **ამხ. ბირიუკოვთან შედგება თათბირი** მაკარონის [illegible] შესახებ, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ ამხ. დ. ქუჩულორია (მომარაგების სახ. კომისარი), მამაცაშვილი (ტფ. საბჭო), კავშირტარის წარმომადგენელი, მურადოვი (მაკარონის ფაბრიკა), არეშიძე (საქმაგგასაღებ.), ბარქაია („26"-ის სახ. რაიკომი).

—:—

3 თებერვალს დღის 12 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტში (ოთახი № 45), **ამხ. ბირიუკოვთან შეხვდება თათბირი** ღრმაღელის მექანიზირებული აგურის ქარხნის საკითხზე. თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მძიმე მრეწვ. სახ. კომ. რწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენელი, საამშენებლო მასალათა ტრესტის მმართველი, საქ. მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატის წარმომადგენელი, კერამიკის მუშათა კავშირის ც. გამგეობის თავმჯდომარე, უწანკიშვილი (ქარხნის დირექტორი), ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი — ლომია, ჯინორია (ლენინრაიკომი), საქ. სახელმწიფო კომისიის წარმომადგენელი, ნიკოლაიშვილი (სათბობის კანტორა).

—:—

3 თებერვალს საღამოს 7 ს. საქ. კ. პ. (ბ) ტფ. ორჯ. გარეუბნის რაიკომში (სადგურის ქ. № 14) შედგება ტფ. გარეუბნის რაიონის პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა შემდეგ თემაზე: საქ. კ. პ. (ბ) ამ.-კ. პარტორგანიზაციების მე-7 და საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობის შედეგები. ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

—:—

3 თებერვალს საღამოს 7 საათზე „უკანასკნელ ცნობათა" რადიო-ბიულეტენის რედაქციაში (ალმასკომის ქ. № 8) მოწვეულია **ტფილისის რადიო-კორესპონდენტთა თათბირი,** რომელსაც უნდა დაესწრონ ფაბრიკა-ქარხნების და საწარმოების კორესპონდენტები.

სახ. ოპერა

2 თებერვალს 7 აბონ. 8 წარ. **ევგენი ონეგინი** 3 თებ. 1 აბ. 9 წ. **შოთა რუსთაველი**	4 თებ. 3 აბ. 8 წ. **ტრავიატა** 5 თებ. 9 აბ. 8 წ. **პიკის ქალი**	6 თებ. 5 აბ. 9 წ. **ქეთო და კოტე** 7 თებ. 11 აბ. 9 წ. **აიდა**

წარმოდგენების დასაწყისი საღამოს ზუსტად 8 საათზე.
[illegible] ზარის შემდეგ თეატრის დარბაზში **შესვლა აკრძალულია.** მეშვიდე საბონემენტო გადასახადის [illegible] ყოველდღე. დღისით 11-დან 2 საათამდე საღამოთი 6-დან 8 საათამდე.

რუსთაველის სახ. თეატრი

2 თებერვალს 11 აბონ. 5 წარ. **ინტერვენცია**	5 თებერვალს 12 აბ. 5 წარ. **ინტერვენცია**	6 თებერვალს 13 აბონ. 5 წარ. **ინტერვენცია**

ოც თებერვლამდე მე-6 და [illegible] სავალდებულოა [illegible] უნდა იქნას თეატრის ან „ბოსხის" სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე.
სალარო ღიაა 1—4 [illegible] ს.-მდე. დასაწყისი [illegible] ს.

მარჯანიშვილის თეატრი

2 თებერვალს 2 აბონ. 5 წარ. **კაკალ გულში**	3 თებერვალს 5 აბონ. 5 წარ. **ნინოშვილის გურია**	4 თებერვალს 6 აბონ. 5 წარ. **ოტელო**

დასაწყისი საღამოს [illegible] საათზე.
თებერვლის 15-მდე აბონემენტების [illegible] უნდა იქნას შეტანილი. ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—4 სათ. საღ. 7—9 ს.

სახკინმრეწველის კინო-თეატრები

ოქტომბერი ხმოვანი	მ. მოლ. ფ. იაპ. მესაბ **დიდი ტოკიო** სეანსები [illegible]-30. 8-30. 10-30.
დამკვრელი	სახლ. ფ. **მკრთალი მთის ტყვეები** სეანსები 3 [illegible] 10-30.
ტემპი	[illegible] ფილმი **სწრაფი № 2** სეანსები [illegible]-30. [illegible] 10-30.
რ. ლუქსემბურგის ხმოვანი	[illegible] **გიული** სეანსები 6-30, 8-30, 10-30.
სპარტაკი	მხ. ფ. სახლ. აჭ. **რისთვის?** 2 სერ. ერთ. სეანსები 6. 7-30. 9, 10-30.
26-ის სახ.	**მეპაპიროსე მოსელპრომიდან** სეანსები [illegible]-30. [illegible]-30 [illegible] 3
მეცნიერება და ტექნიკა	**პოლიარული წრის იქით რუსეთ ჩრდილოეთ მხ. უ. ცხ.** სეანს. 6, 4-3.
რ. ლუქსემბურგის დღისით	[illegible] ფ. **ხასახლე და ციხე** სეანსებ [illegible] 1-30
საბავშვო	**წვიმა, ელვა, სევანის მთის ტბა** სეანსები: 10. 12. 2.

ქუთ. სახელმწიფო პედ-ინსტიტუტთან იხსნება ხუთ თვიანი გადასამზადებელი კ უ რ ს ე ბ ი

როიელი გაცამზადებს სა[illegible] სა წარლებელ დამთავრებულებს ქუთ პედ-ინსტიტუტში შესასვლელად. კურსები გაიხსნება 15 თებერვალს და მეცადინეობა იწარმოებს 15 ივლ სამდის საღამოობით [illegible] 6—10 საათ. [illegible] ოთხჯერ.

კურსები იარსებებს სამეურნეო ანგარიშზე.

კურსებზე ჩასარიცხად საჭიროა წარმოდგენილ იქნეს 10 თებერვლამდის შემდეგი მოწმობები:

1. სახელმწიფო სკოლის დამთავრების შესახებ, 2. დაბადებ ს. 3. სოც. მდგ. მ., 4. სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, 5. პარტიულობის 6. ორი ფოტოგრაფიული მიმოწმებული სურათი.

ცნობები უნდა გამოიგზავნოს ქუთ პედ-ინსტიტუტში ამხ. ნ. ქუთათელაძის სახელზე კურსებზე ჩარიცხულნი მეცადინეობაზე უნდა გამოცხადდნენ 15 თებერვალს.

3—1 ნ. 5 **პედ-ინსტიტუტის დირექცია.**

სამოქ. საპ. საპრ. კოდ. 354 მუხ. თანახმად, საბ. არბიტრაჟის დადგენილებისა სასამართლოს აღმასრულებელი **დ. ბ. ჩიქოვანი** ამით აცხადებს, რომ 1934 წ. 5 თებერვალს დღის 4 ს. ქ. გორში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

გორის საკონსერვო ქარ მოძრავ ქონებას: 1-ლი ვაშლის პიურე სულ 46 ტონას, 175 კასრი. თითო კასრში მოთავსებულია პიურე 265 კილოგრამი. ერთი კასრი შეფასებულია 40 მანეთი. სულ გაიყიდება 46 ტონა. ქონება შეფასებულია 97000 მან. და გაიყიდება ოდესის მუშათა კოოპერატივის რეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად საბ არბიტრაჟის 1933 წ. 13 აგვისტოს № 172-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. 697

საქართველოს ფინსახკომი
აცხადებს

ყველა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციების საყურადღებოდ

რომ თანახმად საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს ა/წ. 23 იანვრის დადგენილებისა **„საბინაო და კულტურულ საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის, ქალაქებსა და სოფლებში 1934 წლის გამოსაღების შესახებ",** მუშებს და მოსამსახურეებს გამოსაღები გადახდებათ 12 თვის განმავლობაში წარმავალი თვის ხელფასის მიხედვით შემდეგი რაოდენობით:

თვიური ხელფასის რაოდენობა	თვიური გადასახდელი გამოსაღები რაოდენობა %%-ში ხელფასთან
100 მანეთამდე	1,0%
100 მანეთის ზევით 125 მანეთამდე	1,5%
125 „ „ 200 „	2,0%
200 „ „ 500 „	2,5%
500 „ „ 5	3,0%

იანვარში გადასახდელი გამოსაღები დაკავებული უნდა იქნეს ანვრის თვის მეორე ნახევრის ხელფასის გაცემის დროს, ხოლო შემდეგ თვეებში კი თვითეული თვის პირველ ნახევრის ხელფასის გაცემისას.

ყველა საწარმონი, დაწესებულებანი და ორგანიზაციები ვალდებული არიან:

ა) თვითეულ თვის პირველ ნახევრის ხელფასის გაცემის შესახებ საბანკში მოთხოვნილების წარდგენის დროს წარუდგინონ განკარგულება ბრძანებები მათი საანგარიშო ანგარიშიდან საბიუჯეტო მუშა-მოსამსახურეებიდან დაკავებული კულტგამოსაღების თანხის გადარიცხვის შესახებ;

ბ) თებერვლის თვის პირველი ნახევრის გამოსაღების გამოანგარიშების და დაკავების შესახებ (იანვრის ხელფასის მიხედვით) ანგარიში წარუდგინონ სარაიონო (საქალაქო) ფინგანებს თავიანთი ადგილმდებარეობის მიხედვით—არა უგვიანეს 1 მარტისა.

შენიშვნა: იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც საბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშები არა აქვთ მუშა-მოსამსახურეებიდან დაკავებული კულტგამოსაღები შეაქვთ საბანკში არა უგვიანეს ხელფასის გაცემის მეორე დღისა.

გამოსაღები უსწოროდ ან არა თავის დროზე დაკავებისათვის და დაკავებული თანხის საბანკში არა თავის დროზე შეტანისათვის, დამნაშავე პირები პასუხისმგებელი არიან გადასახადთა და არა საგადასახადო შემოსავალთა აკრეფის 1932 წ. 17 სექტემბრის დებულებაში გათვალისწინებული წესისამებრ.

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარი—**თათარიშვილი.**

მასიური გადასახდელების სექტორის ხელმძღვანელი—კოლეგიის წევრი—**ტყეშელაძე.**

ნ. 6

ტფილისის საბჭოს საფინგანი
აცხადებს

დაწესებულება-საწარმოების და ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ იანვრის ხელფასიდან მუშა-მოსამსახურეებს უნდა დაეკავოთ 1934 წ. საბინაო და კულტ-საყოფაცხოვრებო გამოსაღები შემდეგი რაოდენობით:

ვინც იღებს ხელფას		
100 მანეთამდე	1%	(ტფილ. რაიონისათვის)
100 მან. ზევით—125—მან-დე	1,5%	ქალაქ ტფილისისათვის.
125 — 200 „	2%	
200 — 500 „	2,5%	
500 —ზევით	3%	

თვიურ ხელფასში შედის ყველა თანხები შემდეგი სახეების: ძირითადი ხელფასი, ზედმეტი საათ. ხის, სანარდო მუშაობისათვის პერსონალური დამატებები, პრემიალური წამახალისებელი ჯილდო და სხვა.

გამოსაღები ეკავება 12 თვის განმავლობაში.

დაწესებულება-წარმოების ხელმძღვანელები და მთავარი ბუხჰალტრები ვალდებულნი არიან 15 თებერვლისათვის წარუდგინონ ცნობები სათანადო რაიფინგანებში იანვრის თვის ხელფასიდან გამოანგარიშებული გამოსაღების შესახებ შემდეგი ფორმით:

ხელფასით	რიცხ.	გაცემ.	გამოანგ. გამოს ჯამი
100 მანეთამდე . . .			
100 მან. ზევ. 125-დე	„	„	„
125 — 200-მდე	„	„	„
200 — 500-მდე	„	„	„
500 მან. ზევით	„	„	„

ნ. 4 **ტფილისის საბჭოს საფინგანი.**

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12-მდე და საღამოთ 5—8-მდე (ნინოშვილის ქუჩა ყოფ. ალექსანდროვსკაია) № 5 ფაბრიკა „მერანი"-ს პირდაპირ.

ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს და ვამზადებ მათემატიკასა და რუსულში: 1 წლ. და [illegible] წ. მოქმობაზე და ბავშვებს და აგრეთვე გადაცილებ 5, 6, 7 ჯგ. და მუშფაკ. I-ლ და II კურსისათვის [illegible]
მოანგარიშ ს თანამდებობაზე
პლეხანოვს 25 9—1 ს. 4—7 ს. (იკითხე მეჭ. მალაზ. ა). 2-1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე, შვილები თამარი, რჩილი და თინათინი, სიძე კოლიკა [illegible] შვილიშვილი გურამი იუწყებიან ნათესავ [illegible] ხანგრძლივი ავად. ყოფნის შემდეგ ექიმი მათე ვასილის ძე ბახტაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 თებერვალს ქ. ხონში

ხონის რაიონის [illegible] დიდი მწუხარებით აუწყებს რომ გარდაიცვალა ხონის [illegible] საკონტროლო [illegible] წევრი, დამსახურებული ექიმი
მათე ვასილისძე ბახტაძე

გულითადი მეგობრები: [illegible] გრიშა, სამსონ მიქაძეები, ბიძო, გრიშა აბრამიშვილი [illegible] ოთარ ახობაძე, [illegible] ბარათაშვილი [illegible] იუწყებიან ძვირფას
ვალოდია ლალიაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 თებერვალს ქ. ქუთაისში. 717

დამწუხრებული [illegible] ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი აღმზრდელი [illegible]
მარიამ ეგანოლიძე-მალრაძისა
დაკრძალვა ს. [illegible]. 716

მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ნინა, მშობლები [illegible] იუწყებიან [illegible]
აკაკი ტოტიას-ძე ნაჭყებიას
უდროოდ დაკარგვას. 709

დამწუხრებული მშობლები: ქსენია, არსენა, [illegible] იუწყებიან
შაშიკო [illegible]
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] 1 თებერვალს. 813

[illegible] ელენე [illegible] ქრისტინე [illegible] ალექსანდრე [illegible]
სანდრო (ბიჭიკო) გაბაშვილის
უდროოდ დაკარგვას 675

დამწუხრებული დები: [illegible]
შალვა [illegible] იაშვილის
გარდაცვალებას.

[illegible] დები: ნინა და მართიკო, [illegible]
შალიკო იაშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება მცხეთაში 2 თებერვალს 5 ს. 10

[illegible] გიორგი იოსები, [illegible] იუწყებიან საყვარელ
აკაკი მოჯგელაძის
უდროოდ დაკარგვას [illegible] 2 თებერვალს [illegible] 6 საათზე. 72

[illegible] ნინო [illegible] იუწყებიან [illegible]
პროკოფიას
გარდაცვალებას გამო. 691

მწუხარებით გამოსთქვამთ: და სონა, სიძე [illegible] დისშვილები [illegible]
დავით სპირიდონის-ძე სუხიაშვილის
გარდაცვალების გამო და აფლავება საბაბლეში 3 თებერვალს. 668

დამწუხრებულნი: [illegible] იუწყებიან საყვარელ
ელისაბედ (ბატა) თომას-ას. სოლოლაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 [illegible] ქ. № 20, [illegible]

[illegible]
აკაკი ტოტიას-ძე ნაჭყებიას
გარდაცვალებას [illegible] 713

[illegible]
პეტრე (ბაგრატი) უგულავა
დასაფლავება 3 თებერვალს ქ. ზუგდიდში

[illegible]
პეტრე კონსტანტინე-ძე უგულავას
გარდაცვალების გამო. დასაფლავება ზუგდიდში 3 თებერვალს.

[illegible]
კაკო მოჯგელაძის
უდროოდ დაკარგვას 715

[illegible]
ალექსანდრე ოქროპირის-ძე მეგუკეს
გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] 4 ს. 603

[illegible]
ვანო მამუკას-ძე რამიშვილი
6. 3

დაკარგვით [illegible] დედა
ანასტასია ჟვანია
[illegible] 72

[illegible]
ხიმონ ქარელის
გარდაცვალება [illegible] 1 თებერვალს 5 საათზე [illegible] ქ. № 3) [illegible]

[illegible]
ალექსანდრე დავითის-ძე მიქელაძის
[illegible] 06

[illegible]
ივანე მამუკისძე რამიშვილის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება 2 თებერვალს 4 საათზე [illegible] 6 8

[illegible]
პრაკოფია დავითის-ასულ ჟარდავას
უდროოდ გარდაცვალებას. [illegible] 2 თებერვალს 6 ს [illegible] 703

ტფილისის საბჭოს საგამომცემლო სექტორი [illegible]
პროკოფია ქარდავას
გარდაცვალებას [illegible] 3 თებერვალს [illegible] 4 ნახ. 698

დამწუხრებული [illegible]
თამარ (ტატა) ტყეშელაშვილის
გარდაცვალებას. [illegible] 6 თებერვალს. 701

სამტრედიის რაიპროკურატური [illegible]
იესე კალანდაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 684

[illegible]
დავით სპირიდონის ძე სუხიაშვილის
[illegible] გამო. 681

[illegible]
დავით სუხიაშვილის
გარდაცვალების გამო. 696

საქ. [illegible]
ვახტ. ჯიბოსძე ჩიკოგიძის
გარდაცვალების გამო. 667

საქართველოს პროკურატურის [illegible]
იესე კალანდაძის
გარდაცვალების გამო. 719

[illegible]
სიმონ ქარელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 თებერვალს 5 ს. [illegible] 69

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68

მთავლიტის რწმუნებული ა 1567.